ქალაქ თბილისის
საკრებულო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
VII მოწვევის საკრებულოს წევრის,
განათლებისა და კულტურის კომისიის
თავმჯდომარის, ისნის რაიონის მაჟორიტარის,
თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და
ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის,
ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული
საქართველოსთვის“ წევრის
კახაბერ ლაბუჩიძის
2024-2025 წ.წ ანგარიში

ს ა რ ჩ ე ვ ი

კომისიის თავმჯდომარის მიმართვა 4
კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები (ზოგადი მიმოხილვა)..... 5
▪ კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის პროგრამა..... 5
▪ პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი“..... 8
▪ „ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის“ პროგრამა 9
▪ ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება 11
▪ „ზოგადი განათლებისა და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“..... 12
▪ „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“..... 13
▪„უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ 14
▪ „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა“..... 15
განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის აქტივობა 17
განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული სხდომების სტატისტიკა 17
კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის საქმიანობის ანგარიში 20
თბილისის საკრებულოს სხდომების სტატისტიკა 20
ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა 21
ადრეული და სკოლამდელი განათლების ობიექტების მონიტორინგი 22
▪ ისნის რაიონში ახლადრეაბილიტირებული N215 საბავშვო ბაგა-ბაღის დათვალიერება 22
▪ N19 საბავშვო ბაგა-ბაღის დათვალიერება 23
▪ საბურთალოს რაიონში მდებარე N112 საბავშვო ბაღში ვიზიტი..... 24
▪ N121 საბავშვო ბაღში ეზიდური საკვირაო ბაღის გახსნა 25
▪ დიღმის მასივში მდებარე N19 საბავშვო ბაღში ვიზიტი..... 26
სამუშაო ვიზიტი ავსტრიის რესპუბლიკის დედაქალაქ ვენაში..... 27
სომხეთის დედაქალაქის, ერევნის მერთან ტიგრან ავინიანთან და მერის მოადგილე ლევონ ჰოვანესიანთან შეხვდრა..... 28
კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მონიტორინგი..... 29
▪ ისნის რაიონში მდებარე მარო მაყაშვილის სახელობის N3 ბიბლიოთეკის დათვალიერება..... 29
▪ მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნის ღონისძიება..... 29
▪ პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის რეაბილიტირებული შენობის დათვალიერება..... 31
▪ მოსწავლე-ახალგაზრდობის განახლებული სასახლის დათვალიერება..... 32
კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები 33
▪ მშობლიური ენის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში..... 33
▪ თემქის მედიათეკაში თბილისის მუნიციპალური სერვისი „60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის“ გახსნა..... 33
▪ ხელოვან ფატიმა თურმანიძესთან ვიზიტი..... 34
▪ პირველი რესპუბლიკის დროშის აღიმართვის ღონისძიება..... 34
▪ N21 სკოლის მოსწავლეების ვიზიტი საკრებულოში 36

▪ მშობლიური ენის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში 37

▪ ერეკლე მეორის ძეგლის გახსნის ღონისძიება 37

▪ სსიპ კოლეჯ „სპექტრში" დურგალთა საწარმოს დასაფუძნებლად სამმხრივი მემორანდუმის გაფორმება 38

▪ N172 სკოლის მოსწავლეების ვიზიტი საკრებულოში 38

საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონია 39
ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდი" 41
დიმიტრი ყიფიანის საფოსტო მარკის შექმნა 42
მახათას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის პირველი წიგნის გამოცემა 44
მემორიალური დაფების გახსნის ღონისძიებები 44
▪ ღირსი ბერი გაბრიელი (ურგებაძე) აღმსარებელი და სალოსის მემორიალური დაფის გახსნა 45

▪ ლევან კბილაშვილის მემორიალური დაფის გახსნა 45

• ქეთევან კიკნაძის მემორიალური დაფის გახსნა 45

მემორიალური დაფები 47
სკოლის სახელდებები 50
▪ სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე 50

▪ სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე . 50

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საბჭო და კომისიები 52
კორესპონდენცია და მოქალაქეთა მიღება 52
კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის საქმიანობის ანგარიში 53

კომისიის თავმჯდომარის მიმართვა

2021 წლის 3 დეკემბრიდან თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას ვხელმძღვანელობ. რამდენადაც რთულია, იმდენად საპატიოა იმ კომისიაში საქმიანობა, სადაც არა ერთ საინტერესო ინიციატივებს ჩაეყარა საფუძველი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია:

- თბილისის მერიის და საკრებულოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმი საკრებულოს ისტორიულ შენობაში განთავსდება. მუზეუმს შემეცნებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დატვირთვა ექნება, როგორც ახალგაზრდა თაობისთვის, ისე დედაქალაქის სტუმრებისათვის;
- თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან ერთად დავაფუძნეთ „წლის მკითხველის“ წოდება და დეკემბრის ბოლოს დაჯილდოვდებიან საუკეთესოები. ამ ინიციატივას აქტიურად დაუჭირა მხარი საგამომცემლო სექტორმა;
- ქართული სამუზეუმო კულტურის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დავაწესეთ ჯილდო, რომელიც მიზნად ისახავს იშვიათი, ნოვატორული ხედვის დიზაინერების დაჯილდოებას;
- დავაფუძნეთ ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალი, რომლის მიზანია თბილისის ბავშვთა ფოლკლორული (კერძო და არასახელმწიფო დაფინანსების ქვეშ მყოფი) გუნდების მოტივაცია, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; წელს ფესტივალი მეორედ, უფრო მასშტაბურად განხორციელდება. ფესტივალის ფარგლებში გამოვლინდებიან გამარჯვებულები ნომინაციებში: საუკეთესო გუნდი, სოლისტი, ლოტბარი, დუეტი, აღდგენილი სიმღერა, საუკეთესო ტრიო, ავთენტურობის ნიშნით გამორჩეული გუნდი, მგალობელთა გუნდი და ქალაქური ფოლკლორის შემსრულებელი ანსამბლი;
- „ოპერა შენს ეზოში“ - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის 170-ე საიუბილეო წელს მიეძღვნა. პროექტის მიზანია, ქალაქის თითოეული უბნის მცხოვრებს შესაძლებლობა მიეცეს, თავისი უბნის სკვერში/ეზოში ეზიაროს საოპერო ხელოვნებას;
- სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის მოხდა აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემა, ხოლო №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემა;
- განათლების და კულტურის კომისიის უშუალო ჩართულობით, ომარ მხეიძის, ლეოპოლდ ძაძამიძის, მერაბ დონაძის, არჩილ ბეთანელის, ალექსანდრე (ლექსო) თორაძის, კონსტანტინე ანდრონიკაშვილის, ქეთევან კიკნაძის, ვახტან ბალავაძის მემორიალური დაფების განთავსების საკითხზე ვიმსჯელეთ.

კახაბერ ლაბუჩიძე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის, თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრის კახაბერ ლაბუჩიძის 2024-2025 წ.წ ანგარიშს.

კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები (ზოგადი მიმოხილვა)

- ### კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამა დედაქალაქში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობას, კულტურის სფეროს დარგების განვითარებას და მათ პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. თბილისში შემოქმედებითი პროცესების უწყვეტად განვითარებას სტაბილური გარემო სჭირდება, რაც ითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილების დაგროვებას, ქართული ტრადიციებისა და თბილისისათვის დამახასიათებელი კულტურული პრაქტიკის გაძლიერებას. პროგრამის მიზანია, კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულების საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ფესტივალებისა და კონკურსების ორგანიზება და ხელშეწყობა, თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიური ღონისძიებების ხელშეწყობა, ქალთა როლის გაძლიერება მიმდინარე კულტურულ-სოციალურ პროცესებში; თბილისის დამეგობრებულ ქალაქებთან და დედაქალაქისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობის ქალაქებთან კულტურის სხვადასხვა სფეროს ღონისძიებების ორგანიზება. დამოუკიდებელი რეჟისორების, სხვადასხვა თეატრის, თეატრალური და სახელოვნებო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა. პროგრამა უზრუნველყოფს კულტურის ხელმისაწვდომობას, დედაქალაქში შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას, ახალგაზრდა ხელოვანების საქმიანობის პოპულარიზაციას, კულტურის ტრადიციული დარგების გაძლიერებასა და კულტურული ტურიზმის ზრდას.

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში ყოველწლიურად მერიის ხელშეწყობით და დაფინანსებით საშუალოდ ხორციელდება 250-დან 300-მდე კულტურულ-შემეცნებითი პროექტი. მათ შორის (საშუალოდ წლის განმავლობაში):

- 50-60 სხვადასხვა მიმართულების ფესტივალი და კონკურსი;
- 45-მდე სპექტაკლი;
- 50-მდე საიუბილეო და სახელოვნებო/სასცენო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო და კონცერტი ;
- 15-მდე გაცვლითი კულტურული პროექტი;
- 40-მდე სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიება;
- 20-მდე სახელოვნებო და საგანმანათლებლო ინკლუზიური პროექტი.
- 70-მდე საგამოფენო, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიება.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები: პროექტის ,,საზეიმო მსვლელობა ალილო"; პროექტის "ნოვრუზ-ბაირამი 2025“.

თეატრალური ხელოვნების განვითარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობა: პროექტის "თორმეტი თვე" დაფინანსება; პროექტის "სტალკერი" დაფინანსება; პროექტის "ქართული თეატრის დღე 14 იანვარი 2025 წელი" დაფინანსება; პროექტის- სპექტაკლი "მეზუნია ჩიტების" დაფინანსება; პროექტის "ხაფანგი" დაფინანსება; პროექტის "ხაფანგი" დაფინანსება; პროექტის "ნაცარქექია" დაფინანსება; პროექტის "ყალბი მე" დაფინანსება; პროექტის "სტუმარი" დაფინანსება; პროექტის-სპექტაკლი "მეზუნია ჩიტების" დაფინანსება; პროექტის "ძაღლის გულის" დაფინანსება; პროექტის "მექანიზმი" დაფინანსება; პროექტის "ბრიყვთა ვახშამი" დაფინანსება; პროექტის "იოსეფ K" დაფინანსება; პროექტის "მულანი" დაფინანსება; პროექტის "გონების თამაშები" დაფინანსება; პროექტის "გიორგი ერისთავის ძუნწი" დაფინანსება; პროექტის "ხაფანგი" დაფინანსება; პროექტის "ბერსერკები:შინ-ლაბორატორია" დაფინანსება; პროექტის "ბერსერკები:შინ-ლაბორატორია" დაფინანსება; პროექტის "ტკბილი ნოემბერი" დაფინანსება; პროექტის „კონტრაქტი“ დაფინანსება.

ფესტივალების, კონკურსების, საიუბილეო და გაცვლითი ღონისძიებების ხელშეწყობა: პროექტის "თბილისი ყველას აერთიანებს" დაფინანსება; პროექტის -„კონსტანტინე კიკაბიძე - 80“-ის დაფინანსება; პროექტის - შოუპროგრამა „ქართული საგანძური“; პროექტის - „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აბდაუბდა“ -ს დაფინანსება; პროექტის "მე სახალხო მგოსანი ვარ" დაფინანსება; პროექტის "ვერ აგისრულე,რასაც დაგპირდი" დაფინანსება; პროექტის "თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალის" დაფინანსება; პროექტის " ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის სახელობის პრემიის" დაფინანსება; პროექტის "კულისებს მიღმა-ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება" დაფინანსება; პროექტის "დედავ,სიცოცხლის დიდო საწყისო" დაფინანსება; პროექტის "დედაო ღვთისა" დაფინანსება; პროექტის "მე ეს შემიძლია" დაფინანსება; პროექტის "იტალიური და ნეაპოლიტანური ოპერა-ფაბიო ანდრეოტი" დაფინანსება; პროექტის "სალონური შეხვედრები"დაფინანსება; პროექტის "ურჩხული და მზეთუნახავი" დაფინანსება; პროექტის "ოქროს არწივი 2025" დაფინანსება; პროექტის "ეროსი 100" დაფინანსება; პროექტის-ტანგო "მარია ბუენოს აირესიდან" დაფინანსება; პროექტის "თბილი-სი დრო" დაფინანსება; პროექტის "ქეთევან დედოფლის 400 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო" დაფინანსება; პროექტის "ღამის შოუს" დაფინანსება; პროექტის "საგაზაფხულო გამოფენა" დაფინანსება; პროექტის "ბელა და მისი მეგობრები" დაფინანსება; პროექტის "ფოლკ ფოტო 2025" დაფინანსება; პროექტის "ნანა მესხის საიუბილეო მუსიკალური საღამო" დაფინანსება; პროექტის "შავი ჩოხა" დაფინანსება; პროექტის "მე გავიარე გზა ეკლიანი თინათინ მღვდლიაშვილის იუბილე" დაფინანსება; პროექტის "ჯემალ სეფიაშვილი სიყვარულით" დაფინანსება; პროექტის "თენგიზ გოგავას საიუბილეო საღამო" დაფინანსება; პროექტის "ასურელი ხაბ-ნისანი 2025-6775" დაფინანსება; პროექტის "კავკასიის მუსიკალური დაჯილდოება-ფენიქსი 2025" დაფინანსება; პროექტის "კაცების მიწა" დაფინანსება; პროექტის "ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი 2025" დაფინანსება; პროექტის "კულტურული შემეცნებითი პროექტის

"ლირდე" დაფინანსება; პროექტის "მაქსიმ მრვიცა თბილისის ახალგაზრდებისთვის" დაფინანსება; პროექტის "აბრეშუმის გზის საშემსრულებლო ხელოვნების ფესტივალი" დაფინანსება; პროექტის "მომავლის ვარსკვლავების" დაფინანსება; პროექტის "მე მინდა საქართველო მიცნობდეს" დაფინანსება; პროექტის "ქართული საგანძური კვალდაკვალ" დაფინანსება; პროექტის "ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკალური მესამე ფესტივალი" დაფინანსება; პროექტის "ურჩხული და მზეთუნახავის" დაფინანსება; პროექტის "თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალის" დაფინანსება; პროექტის "სოსო ლაღიძის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი" დაფინანსება; პროექტის "ლაზური მუსიკის კონცერტი" დაფინანსება; პროექტის "ქუჩის მუსიკოსები და დოდონა ნამორაძე" დაფინანსება; პროექტის "ერთი პიესა" დაფინანსება; პროექტის "ელისო ვირსალაძის კონცერტი" დაფინანსება; პროექტის "კლასიკური მუსიკა საქართველოს რეგიონების" დაფინანსება; პროექტის "მერაბ კოკოჩაშვილის 90 წლის იუბილე" დაფინანსება; პროექტის "ტკბილი ნოემბერი" დაფინანსება; პროექტის "მექანიკური ფორთოხალი" დაფინანსება; პროექტის "ექიმები ექიმებისთვის და მეგობრები ექიმებისთვის" დაფინანსება; პროექტის "პოეზია უპირველეს ყოვლისა" დაფინანსება; პროექტის "მე ჩემი ქალაქის პატრიოტი ვარ" დაფინანსება; პროექტის ფესტივალის "ქორეოექოს" დაფინანსება; პროექტის "ნუგზარ ერგემლიძის საიუბილეო საღამო 70" დაფინანსება; პროექტის სპექტაკლის-"პოლიცია" დაფინანსება; პროექტის "ქართული რეტრო"დაფინანსება; პროექტის "კირკე-ცეკვისა და თეატრის ექსპერიმენტული პლატფორმა" დაფინანსება; პროექტის "ქართული ხმა 2025" დაფინანსება; პროექტის "ეკა კვალიაშვილის 60 წლის იუბილე" დაფინანსება; პროექტის "გრიგოლ ფერაძე" დაფინანსება; პროექტის "ახალი ქართული პიესა 2025" დაფინანსება; პროექტის "ჩვენ გავფრინდებით თუ ერთად ვიქნებით" დაფინანსება; ჯემალ ჭკუასელის 90 წლის აღსანიშნავი საიუბილეო კონცერტის დაფინანსება; პროექტის "ზაფხულის ღამის ჯაზი" დაფინანსება; პროექტის "სცენოგრაფიის საერთაშორისო მასტერლაბი 2025" დაფინანსება; პროექტის "მიუზიკლი"დაფინანსება; პროექტის "გზა 1918 წ 26 მაისიდან დღემდე" დაფინანსება; პროექტის "თაობიდან თაობამდე" დაფინანსება; პროექტის "აფხაზეთი საქართველოა" დაფინანსება; პროექტის "სამბას მუსიკალური ფესტივალი-2025" დაფინანსება; პროექტის "თბილისის წიგნის XXVII საერთაშორისო ფესტივალი" დაფინანსება; პროექტის "აშუღ საიათ-ნოვას ჰანგები" დაფინანსება; პროექტის "არტ პლიუსის" დაფინანსება; პროექტის "გელოდი ფოცხიშვილი-80" დაფინანსება; პროექტის "მწვანე საღამოები" დაფინანსება; პროექტის "ქართული ქორეოგრაფიის დღე" დაფინანსება; პროექტის "Georgia in your mind" დაფინანსება; პროექტის "ტრისტან სარალიძე 70" დაფინანსება; პროექტის "თბილისის სახელოვნებო საბავშო და საყმაწვილო ლიტერატურის ფესტივალი" დაფინანსება; პროექტის "მომეფერე და მოგეფერების" დაფინანსება; პროექტის "ეს სიმღერაა საქართველოსი" დაფინანსება; პროექტის "სიმონ ჩხაიძის ვარსკვლავის გახსნა" დაფინანსება; პროექტის "სან სეტ ბოტანიკო" დაფინანსება; პროექტის "სიყვარული აგვამაღლებს" დაფინანსება; პროექტის "ტანგოს საერთაშორისო ფესტივალი-2025" დაფინანსება; პროექტის "წმინდა ნინოს ჯვარი" დაფინანსება; პროექტის "ნეაპოლი"დაფინანსება; პროექტის "ლევან გოთუა-120" დაფინანსება; პროექტის "კახი კავსაძე 90" დაფინანსება; პროექტის- "კომპოზიტორ შოთა მილორავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო" დაფინანსება; პროექტის "ზაფხულის თბილისური საღამოები" დაფინანსება; პროექტის "მუზეუმელთა ალიანსი"

დაფინანსება; პროექტის "ნერგები" დაფინანსება; პროექტის "თემურ ყვითელაშვილის საღამო" დაფინანსება; პროექტის "ილეთის საპრეზენტაციო შემოქმედებითი საღამო" დაფინანსება; პროექტის "ვაზისუბნის ფერადი კოლორიტი" დაფინანსება; პროექტის "კონცერტი მიძღვნა დიდ ბიჭებს" დაფინანსება; პროექტის "ახალგაზრდა პიანისტთა თბილისის IX საერთაშორისო კონკურსი" დაფინანსება; პროექტის "ფესვები და ფრთები" დაფინანსება; პროექტის "ანსამბლის 20 წლის საიუბილეო კონცერტი" დაფინანსება; პროექტის "ქუჯი 2025" დაფინანსება; პროექტის "თბილისის გასტრო კვირეულის მდგრადი გასტრონომია" დაფინანსება; პროექტის „თორაძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი" დაფინანსება; პროექტის „მოძრაობის, ფიზიკური თეატრისა და ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი" დაფინანსება; პროექტის „მწერლის შემოქმედება ცხოვრების შინაარსია" დაფინანსება; პროექტის „სოფიკო ჭიაურელის და ფრუნზიკ მკრტიჩიანის ხსოვნის შემოქმედებითი საღამო" დაფინანსება; პროექტის – „პოეზიის დღე - 2025" დაფინანსება; პროექტის ,,თბილისის საფორტეპიანო ფესტივალი'' დაფინანსება; პროექტი „ბლუზისა და როკენ-როლის საღამო" დაფინანსება; პროექტის -„თბილისის ბალეტის საერთაშორისო ფესტივალი" დაფინანსება; პროექტის „ანიმაციური ვორქშოფების სერია ბავშვებისთვის" დაფინანსება; პროექტის ,,ხელოვნება თბილისის უბნებში „ამღერებული ლექსები'' დაფინანსება; პროექტის ,,სიმღერისა და ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი „ლეგენდების ქვეყანა" დაფინანსება; პროექტი „პოპულარული კლასიკური მუსიკის საღამოები" დაფინანსება; პროექტის „ფიქრთ გასართველად" დაფინანსება; პროექტის ,,რამდენიმე ამბავი თეატრის შესახებ'' დაფინანსება; პროექტის "ვაინქასთი-კინოსა და ღვინის საერთაშორისო ფესტივალი"დაფინანსება; პროექტის "Tbilisi Mural Fest" დაფინანსება.

- პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი"

პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი" მიმართულია შემოქმედებითი ინდუსტრიების მდგრადი განვითარების ხელშეწყობისკენ, სახელოვნებო სფეროში მომუშავე მცირე მეწარმეობის განვითარებისკენ და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობისკენ.

2021 წელს მუნიციპალიტეტმა წარადგინა სათანადო განაცხადი და თბილისი გახდა UNESCO-ს „შემოქმედებითი ქალაქების ქსელის" (UCCN) წევრი მედია ხელოვნების მიმართულებით, რაც ახალ შესაძლებლობას აძლევს ამ სფეროში დასაქმებულ ხელოვანებსა და ორგანიზაციებს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. აღნიშნულმა მოვლენამ ასახვა ჰპოვა 2022 წლის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კონკურსში - „შემოქმედებითი თბილისი" და გაჩნდა ახალი, პრიორიტეტული მიმართულება - მედია ხელოვნება, რომელიც თავის მხრივ, ბევრ აქტუალურ მიმდინარეობას მოიცავს და ხელს უწყობს სფეროში მომუშავე ხელოვანებს.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

პროექტის "შეაფერადე და აკინძე" დაფინანსება; პროექტის "მეზღაპრე" დაფინანსება; პროექტის "ქართული ტიპოგრაფია,ესკიზიდან ფონტამდე" დაფინანსება; პროექტის "პოსტერები ძველი თბილისის თემაზე" დაფინანსება; პროექტის "პირველი ციფრული მუზეუმი საქართველოში" დაფინანსება; პროექტის "სინათლის ძალა"დაფინანსება; პროექტის "ქართული თექა ინტერიერში" დაფინანსება; პროექტის "თურმანიძის

დიპლიპიტო" დაფინანსება; პროექტის "თბილისელი ებრაელები" დაფინანსება; პროექტის "ტექსტური პერსონალობის დიზაინი:უსასრულო ჩატი" დაფინანსება; პროექტის "მუსიკალური ვიდეო თამაში" დაფინანსება; პროექტის "ქართული დეკორატიული და აკუსტიკური პანელები" დაფინანსება; პროექტის "თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი-გიორგი გვაზავა" დაფინანსება; პროექტის - „პირველი მეცნიერი ქალები ძველ თბილისში“; პროექტის - „თბილისური სახსოვარი-რელიეფების ახალი სიცოცხლე“; პროექტის - „თბილისური ამბავი“; პროექტის - "ქალაქ თბილისის ისტორიის, კულტურის და კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მონოგრაფიების გამოცემა ფლეშ-მეხსიერების ბარათების სახით“; პროექტის ,,პროფესიული განათლების კერები თბილისში’’; პროექტის - „ლეგენდარული გულბაათ ჭავჭავაძე-ჩემი წინაპარი“; პროექტის - „თანამედროვე ყაბალახი - ქართული ტრადიციული აქსესუარის ახალი სიცოცხლეს“; პროექტის ,,ვინც დაარსა თბილისი’’

პროექტის - ,,თბილისის სკვერები და ხეივნები“; პროექტის - ,,დავით თორაძის საფორტეპიანო კონცერტი მაგნიტოფირის თანხლებით- ელექტრონული გამოცემა“; პროექტის - „თბილისელი მხატვარი ნოდარ აფციაური“; პროექტის ,,გაცოცხლებული ისტორია ლინზაში’’; პროექტის - „პირველად საქართველოში"; პროექტის - „თბილისის აუდიო გიდი-აპლიკაცია“; პროექტის - ,,სურათები მე-19 საუკუნის თბილისის ცხოვრებიდან“; პროექტის - „დიორამა „მეზღაპრე“-ს; პროექტის - ,,თბილისით სუნთქავდნენ თბილისმა ჩაიხუტა“; პროექტის ,,სინესთეზია’’.

- „ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის“ პროგრამა

„ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის“ პროგრამა მიზნად ისახავს ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობას. მის ფარგლებში ხორციელდება, ისეთი პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ინკლუზიური ელემენტების შეტანას ხელოვნების სფეროს სხვადასხვა დარგში, სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების გაჩენას დედაქალაქის კულტურულ სივრცეში და მათ ჩართულობას კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები: ჟურნალის „სინათლე“ ბრაილის შრიფტით გამოცემის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 თებერვლის N1-127 საფუძველზე „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრი“დაფინანსდა - 25,0 ათ. ლარით.

პროექტის-ინტეგრირებული თეატრი "აზდაკის ბაღი" 10 წლის საიუბილეო საღამოს დაფინანსება; პროექტის "21 ნაბიჯი წარმატებისკენ" დაფინანსება; პროექტის "აუტიზმის ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პანელური დისკუსია" დაფინანსება; პროექტის "მე და ჩემი სამყარო-ფერებით მოყოლილი ისტორია" დაფინანსება; პროექტის "პატარა ხელოვანები" დაფინანსება; პროექტის - ,,ხელოვნების თერაპია, ხელნაკეთი სუვენირები და შშმ პირთა შესაძლებლობების გაზიარება“; პროექტის - ,,მშობლებისა და ძიძების ცნობიერების ამაღლება, ბავშვის განვითარების

ეტაპები 0-7 წლამდე''; პროექტის - „იტალიელი კინოსა და თეატრის დამსახურებული მსახიობის სიმონა კავალარისა და ინკლუზიური დასი „ცხოვრება მშვენიერიას“; პროექტის - ,,ნოტებად ქცეული ფიქრები''; პროექტის - ,,მუსიკა ქართული ანიმაციური ფილმებიდან ,,პარაორკესტრის შესრულებით''; როექტის - ,,შშმ პირთა თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწობა ხელოვნების საშუალებით".

- ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება

პროგრამა ითვალისწინებს ქართული საესტრადო ტრადიციების აღდგენას, საესტრადო მუსიკის სწორი მიმართულებით განვითარებას, ახალგაზრდა ნიჭიერი შემსრულებლების აღმოჩენას; ამ მიზნების განსახორციელებლად ქვეპროგრამა უზრუნველყოფს საკონცერტო ორკესტრის „ბიგ-ბენდის" ხელშეწყობასა და მისი რეპერტუარის განახლებას. თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი" ერთადერთი საკონცერტო ორკესტრია საქართველოში, რომელსაც აკისრია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქცია ქვეყანაში საესტრადო ხელოვნების განვითარებისათვის. ორკესტრი ამზადებს ქართველ კომპოზიტორთა საკონცერტო და საიუბილეო საღამოებს, მონაწილეობას იღებს ერთობლივ კონცერტებში უცხოელ მუსიკოსებთან ერთად, რაც მეტად მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაციისათვის. თბილისის პანთეონების (მთაწმინდა, დიდუბე, ხოჯავანქი და ახალი პანთეონი) მოვლა-პატრონობა. კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ხელს უწყობს პერსონალის შრომისუნარიანობისა და დაწესებულებების მოსწავლეთა შემოქმედებით ზრდას. ქვეპროგრამის - „კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების ხელშეწყობა" ფარგლებში განსახორციელებელია კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები: კულტურის დაწესებულებების (ხელოვნების სკოლები, გიმნაზია, სტუდია, კოლეჯი, თეატრები, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკები, მუზეუმები, მუნიციპალური ორკესტრი „ბიგ-ბენდი", საზოგადო მოღვაწეთა პანთეონები) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კერძოდ, განხორციელდა:

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე:

ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის N2 ხელოვნების სკოლის საქვაბის შენობის სრული რეაბილიტაციისა და გათბობის ქვაბების მონტაჟის სამუშაოები;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის გ. ცაბაძის სახ. N25 ხელოვნების სკოლის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ა. ნიჟარაძის სახ. N27-ე ხელოვნების სკოლის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის საფუძველზე:

ა(ი)იპ ქ. თბილისის მერიის ა. მიზანდარის სახელობის N1 ხელოვნების სკოლისათვის მუსიკალური ინსტრუმენტების (დოლები, დოლის ჩასადებები, ტამტამები), მოლბერტების შეძენა და აუდიტორული მომსახურება;
ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რევაზ ლაღიძის სახელობის ხელოვნების №4 სკოლისა და ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ჰ. გონაშვილის სახელობის N29 ხელოვნების სკოლისათვის გათბობის სისტემის მოწესრიგება;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაჰესის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N5 ხელოვნების სკოლისათვის როიალისა და პიანინოების რესტავრაცია;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის N7, ა(ა)იპ ქ. თბილისის

მერიის ს. ინაშვილის სახელობის N12, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N28 ხელოვნების სკოლებისათვის პერსონალური კომპიუტერების შეძენა;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიისათვის მუსიკალური აპარატურისა და ლეპტოპის შეძენა;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის N14 ხელოვნების სკოლისათვის ვერტიკალური ფარდა-ჟალუზის შეძენა, სახანძრო სისტემის მოწესრიგება და დაზიანებული ჭერის განახლება;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სულხან ცინცაძის სახელობის N16 ხელოვნების სკოლაში დაზიანებული ინსტრუმენტებისა და ინვენტარის დაშლა-გატანა, ელექტრო გამანაწილებლის ფარის მონტაჟი, გათბობის ქვაბისა და წყლის მილის მონტაჟი/დემონტაჟი, ლითონის რადიატორების დემონტაჟისა და დასაწყობების, სამშენებლო მასალების მოგროვებისა და გატანის სამუშაოები;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის პ. ამირანაშვილის სახ. 18-ე ხელოვნების სკოლისათვის 2 პერსონალური კომპიუტერისა და დამცავი ბადეების შეძენა;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის N24-ე ხელოვნების სკოლის ინვენტარის, ინსტრუმენტების გადატანა და დასაწყობება;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის გ. ცაბაძის სახ. #25 ხელოვნების სკოლისათვის პერსონალური კომპიუტერისა და ლეპტოპის შეძენა;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ალ. მაჭავარიანის სახ. N26-ე ხელოვნების სკოლისათვის გათბობის სიტემისა და დამხმარე შენობის მოწყობისათვის პროექტის მომზადება;
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯისთვის სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწესრიგება, სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობილობების დამისამართება, ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით დამუშავება, ელექტრო მოწყობილობების, ელექტრო ქსელის მოწესრიგება და კარადების შეცვლა.

- „ზოგადი განათლებისა და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის მიზანია საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობის გზით მოსწავლეთა ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, რაც ითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმითა და ეროვნული სასწავლო გეგმის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობას, მოსწავლეთა ჩართვას სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობაში. საინიციატივო ჯგუფების, სასკოლო კლუბების, მოსწავლეთა თვითმმართველობებისა და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა, რომელთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეები და ზოგადი განათლების ხელშეწყობა. საერთაშორისო საგანმანათლებლო კონკურსებში, ტურნირებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა. სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით და ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით ფესტივალების, ფორუმების, გამოფენების ორგანიზება.

დაფინანსდა **ა(ა)იპ „სასკოლო თეატრალური ფესტივალი არტსკოლა”**, პროექტის **„არტსკოლა“** განსახორციელებლად. პროექტი მოიცავს 25-60 წუთიან სპექტაკლის ჩვენებას. ამისთვის სპეციალურად დაიწერა პიესა, ჩანახატი, მოთხრობა, ეტიუდი, მოსწავლის და მასწავლებლის ერთობლივი ნამუშევარი, რომელიც განახორციელეს სცენაზე სპექტაკლის სახით. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს საჯარო და კერძო სკოლების, ასევე, დამოუკიდებელ საყმაწვილო, ახალგაზრდულმა თეატრალურმა დასებმა, ასევე დიასპორულმა თეატრებმა. ფესტივალში ჩართულები იყვნენ შშმ პირები და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები. ფესტივალი ჩატარდა კონკურსის სახით, შეიქმნა ნაწარმოები „სიყვარულის“ თემაზე. სასკოლო თეატრალური ფესტივალი „არტსკოლა“ დასრულდა გრანდიოზული დაჯილდოვებით და გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მოსწავლეები, დასები. გამარჯვებულ სპექტაკლს კი გადაეცა გრან-პრი. ფესტივალს ჰყავდა კომპეტენტური ჟიური, მოწვეული რეჟისორი, დრამატურგი, მსახიობი,საუკეთესო პიესის ავტორი.

- „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“

პროგრამის მიზანია მოქალაქეთა პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა, დასაქმებაზე ორიენტირებული სერვისების განვითარება დედაქალაქში კერძო სექტორთან და პროფესიულ სასწავლებლებლებთან თანამშრომლობით. განხორციელდება პროფესიული მომზადება/გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“, რომლის ფარგლებში სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების და კერძო სასწავლო დაწესებულებების ბაზაზე, მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების კურსების მეშვეობით, თბილისში ყველაზე მოთხოვნად 80 სპეციალობაში გადამზადდება სამსახურის მაძიებელი მოქალაქეები. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი საგანმანათლებლო კურსების დანერგვა.

2025 წლის 12 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით, 10 000-მდე მოქალაქემ გაიარა რეგისტრაცია, ხოლო 2025 წლის 28 აპრილიდან დაიწყო მომზადება/გადამზადების მოკლეევადიან პროგრამებზე სწავლა. დაფინანსებული პროექტების ფარგლებში 1050 ქალაქ თბილისში რეგისტრირებული სრულწლოვანი მოქალაქე ჩაერთო პროგრამაში და შესაძლებლობა მიეცა 70 პროფესიულ სპეციალობაში მომზადება/გადამზადება გაევლო შემდგომი დასაქმების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში შემოდგომის მიღების ფარგლებში, განხორციელდა პროექტი „ისწავლე და დასაქმდი“, პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 12 (თორმეტი) ორგანიზაცია, პროფესიული მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების მიზნით.

დაფინანსებული სასწავლებლები:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
2. სსიპ - კოლეჯი მერმისი;

3. სსიპ - გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი;
4. ა(ა)იპ „კოლეჯი იკაროსი;
5. ა(ა)იპ „რეზო თურნავას სახელობის საქართველოს ტექნოლოგიური განათლების განვითარების ფონდი“;
6. ა(ა)იპ „საბავშვო სტუდია ფანტასმაგორია“;
7. ა(ა)იპ „ედუსითი გეო”
8. ა(ა)იპ „პროჯექთ ფოლი პო”;
9. ა(ა)იპ „სქილ ლაბი”;
10. ა(ა)იპ „ფიზიკური მომზადებისა და ფიტნესის აკადემია“
11. ა(ა)იპ „რეედუქეითი განათლება“
12. ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“

2025 წლის 17 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით, 10 000-მდე მოქალაქემ გაიარა რეგისტრაცია, ხოლო 2025 წლის 27 ოქტომბრიდან დაიწყება მომზადება/გადამზადების მოკლეევადიან პროგრამებზე სწავლა. დაფინანსებული პროექტების ფარგლებში 1400-ზე მეტი ქალაქ თბილისში რეგისტრირებული სრულწლოვანი მოქალაქე ჩაერთვება პროგრამაში და შესაძლებლობა მიეცემა 80 პროფესიულ სპეციალობაში მომზადება/გადამზადება გაიაროს შემდგომი დასაქმების მიზნით.

- „უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა უწყვეტი განათლების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტური პროექტები, ფუნქციონირებდა იურიდიული კლინიკა, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა უფასო სამართლებრივი დახმარებას, კონსულტაციას და იურიდიული განათლების მქონე სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ პროფესიულ პრაქტიკას, სოციალურად დაუცველი სტუდენტების უმაღლესი განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და მათი წახალისების მიზნით გამოცხადდა სტუდენტების განაცხადების მიღება დაფინანსების მიზნით.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია სტუდენტური ინიციატივების წახალისება, სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო ოლიმპიადების, კონკურსების და ჩემპიონატების განხორციელება სტუდენტების თვითრეალიზების ხელშეწყობისა და მათი უნარების განვითარების მიზნით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლები, მასტერკლასები, ტრენინგები და ვორქშოფები სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული კონტაქტების ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება აგრეთვე უცხოელი სპეციალისტების და პროფესორების მოწვევის პროგრამა, სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით.

დაფინანსდა **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“**, პროექტის **„ფ.ჯესაპის სახელობის**

საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესის ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდის საერთაშორისო რაუნდებში მონაწილეობა“ განსახორციელებლად. ფილიპ ჯესაპის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესი წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს იმიტირებულ სასამართლო შეჯიბრს სამართლის სტუდენტებისთვის, რომელშიც მონაწილეობენ 100-ზე მეტი ქვეყნისა და იურისდიქციის 700-ზე მეტი სამართლის სკოლის წარმომადგენლები. პროექტში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის 6-მა სტუდენტმა.

დაფინანსდა **ა(ა)იპ „დემოკრატიის ახალგაზრდული აკადემია“ (ს/კ : 406511626)** პროექტის **„სტუდენტური დებატები 2025“** განსახორციელებლად. „სტუდენტური დებატები 2025“ ფარგლებში ჩატარდა დებატების ტურნირები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შორის. პროექტი რამდენიმე ეტაპად გაიმართა და დასასრულს გამოვლინდა საუკეთესო გუნდი. გუნდებს შორის სადებატო თემები შეეხო თვითმმართველობებთან და არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც მათში ზემოაღნიშნული საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა.

- „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტების 2024 - 2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაფინანსების მიზნით 2025 წლის 5 მარტიდან 2025 წლის 31 მაისის ჩათვლით გამოაცხადა განაცხადების მიღება, საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განიხილა სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებები, გაკეთდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა **1403 სოციალურად დაუცველი სტუდენტი,** მათ შორის 876 ქალი, 527 კაცი; ხოლო მრავალშვილიანი ოჯახის წევრი **675 სტუდენტი,** მათ შორის 408 ქალი, 267 კაცი; ასევე, დაფინანსდა **შშმ 46 სტუდენტი**, მათ შორის 30 ქალი, 16 კაცი. სულ საანგარიშო პერიოდში **დაფინანსდა 2124 სტუდენტის** სწავლის ღირებულება.

წარმატებული სტუდენტების ფინანსური წახალისების მიზნით, 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ქულების გათვალისწინებით, სახელმწიფო უნივერსიტეტის ან/და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმატებულ სტუდენტთა სიის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 7 აპრილიდან 2025 წლის 17 აპრილის ჩათვლით, ხოლო წარმატებულ სტუდენტთა მიერ დაფინანსების მისაღებად საჭირო დოკუმენტების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 28 აპრილიდან 2025 წლის 2 ივნისის ჩათვლით. საანგარიშო პერიოდში ფინანსური წახალისება ჩაერიცხა **410 სტუდენტს, მათ შორის 299 გოგოს, 111 კაცს.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტების 2025 - 2026 სასწავლო წლის

შემოდგომის სემესტრის დაფინანსების მიზნით 2025 წლის 3 სექტემბრიდან 2025 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით გამოაცხადა განაცხადების მიღება, საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განიხილა სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებები, გაკეთდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა **315 სოციალურად დაუცველი სტუდენტი მათ შორის 215 ქალი და 100 კაცი.** გრძელდება განცხადებების განხილვა და დასაფინანსებელი სტუდენტების ბაზის მომზადება.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის აქტივობა

თბილისის საკრებულოს წევრი კახაბერ ლაბუჩიძე, 2021 წლის 03 დეკემბრიდან დღემდე არის თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

საანგარიშო წლის პერიოდში, არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა თუ პროექტი განხორციელდა.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული სხდომების სტატისტიკა

განათლებისა და კულტურის კომისიამ, საანგარიშო პერიოდში გამართა 14 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 26 საკითხი.

სხდომების სტატისტიკა და განხილული თემატიკა:

1. **19.11.2024; დღის წესრიგი:**
   1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა **(წერილი: №12-032431943-03; 14.11.2024).**

2. **22.11.2024; დღის წესრიგი:**
   1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **(წერილის №12-032432550-03; 20.11.2024)** განხილვა.

3. **20.12.2024; დღის წესრიგი:**
   1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა **(წერილი: №12-032434554-03; 10.12.2024)**

4. **27.01.2025; დღის წესრიგი:**
   1. ომარ მხეიძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ **(19/0324355155-03; 20.12.2024)**
   2. ქეთევან კიკნაძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ **(19/032435829-03; 23.12.2024)**
   3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ **(12-032502486-03; 24.01.2025)**

5. **27.02.2025; დღის წესრიგი:**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის საჯარო ხელოვნების ფონდის“ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (**12-032505569-03; 24.02.2025)**

6. 21.03.2025; დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ **(№12-0325058100-03; 27.02.2025)**

7. 15.04.2025; დღის წესრიგი:

1. კონსტანტინე ანდრონიკაშვილის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (19/032510167-03; 11.04.2025)

8. 15.05.2025; დღის წესრიგი:

1. ალექსანდრე (ლექსო) თორაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (19/032513329-03; 13.05.2025)

2. მერაბ დონაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (19/032513415-03; 14.05.2025)

3. არჩილ ბეთანელის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (19/032513442-03; 14.05.2025)

9. 19.06.2025; დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (**№12-032516961-03; 18.06.2025**).

10. 24.07.2025; დღის წესრიგი:

1. ვახტანგ ბალავაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ **(19/032515620-03; 05.06.2025)**

2. ლეოპოლდ (ბოჩია) ძაძამიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ **(19/032520336-03; 22.07.2025)**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-03252031-03; 22.07.2025)**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-032517414-03; 23.06.2025)**

11. 18.08.2025; დღის წესრიგი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ **(წერილი №04-03240645-03; 04.03.2024)**

2. სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ **(წერილი №04-032404734-03; 16.02.2024; №04-032516112-03; 10.06.2025)**

12. 23.09.2025; დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

13. 09.10.2025; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ;

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

14. 24.10.2025; დღის წესრიგი:

1. „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტის თაობაზე **(04-032528011-03; 07.10.2025)**

2. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ **(12-03252965-03; 23.10.2025)**

3. ვიქტორ სანეევის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ **(19/03252968-03; 23.10.2025)**

კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის საქმიანობის ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა 20 სხდომა და განხილულ იქნა 484 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში - 2024 წლის 01 ნოემბრიდან - 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომების ჩათვლით, კომისიის წევრი კახაბერ ლაბუჩიძე დაესწრო 20 სხდომას და ჯამურად განიხილა 484საკითხი.

თბილისის საკრებულოს სხდომების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 და ბიუროს 20 სხდომა; მიღებულ იქნა 742 განკარგულება და 103 დადგენილება, რომლის შედეგად, დედაქალაქში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა უზრუნველყოფის, ურბანული დაგეგმარების, გარემოს, ტრანსპორტის, ეკოლოგიისა და გამწვანების, სპორტის და სხვა პრიორიტეტების მიმართულებით. საკრებულოს წევრი კახაბერ ლაბუჩიძე დაესწრო საკრებულოს 16 და ბიუროს 20 სხდომას.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“, რომლის წევრიც არის კახაბერ ლაბუჩიძე, ჩაატარა 17 სხდომა და განიხილა 30 საკითხი, საიდანაც კახაბერ ლაბუჩიძემ მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 16 სხდომაში და განიხილა 29 საკითხი.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, დედაქალაქის მასშტაბით, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობასა და სისტემაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს.

თბილისის მასშტაბით 190 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს, სადაც დასაქმებულთა რაოდენობაა 13 500. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო სერვისებით სარგებლობს 60 000 აღსაზრდელი.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ბაღების განახლების პროექტი, რომლის ფარგლებში, მასშტაბური სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდა. საანგარიშო პერიოდში გაიხსნა 2 საბავშვო ბაღის ახალი შენობა - N109 ბაგა-ბაღი ისნის რაიონში, გაბრიელ სალოსის N110-ში (20 ჯგუფი, 600 აღსაზრდელი) და N50 ბაგა-ბაღის ახალი შენობა ზაჰესში, სვიმონ შოთაძის N7-ში(8 ჯგუფი, 250 აღსაზრდელი).

მიმდინარობს 5 ბაღის მშენებლობა და 2 ბაღის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია.

- N6 საბავშვო ბაგა-ბაღი დიდუბის რაიონში, აღმაშენებლის ქუჩა N197; 14 ჯგუფი, 460 აღსაზრდელი. პროექტის ღირებულება 2 313 000 ლარი;
- N28 საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობა დემონტაჟის შემდგომ;
- N43 საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობა დემონტაჟის შემდგომ;
- N26 საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობა ისანში, ბეღლეთის ქუჩა N10;
- ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა ლილოს დასახლებაში;
- N211 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია
- N37 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია

პროექტის მიზანია ყველა ძველი და ახალ აშენებული საჯარო საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის მომსახურების თანაბარ პირობებში გაწევა.

თბილისის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში დაინერგა სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისოდ აღიარებული, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის დანერგვის მიზნით, 150 საბავშვო ბაგა-ბაღში განხორციელდა სარემონტო სამუსაოები; სამზარეულოები და სამეურნეო დანიშნულების ოთახები/სათავსოები აღიჭურვა ახალი ტექნიკით და ინვენტარით.

დაინერგა აღსაზრდელთა ციფრული აღრიცხვიანობის სისტემა - დაშვების ცენტრალიზებული სისტემა საწყის ეტაპზე 10 საბავშვო ბაღში სატესტო რეჟიმში მუშაობს, წლის ბოლოდან კი ყველა საბავშვო ბაღი ჩაერთვება.

შეიცვალა რეგისტრაციის წესი, დაემატა პრიორიტეტული ჯგუფები, რეგისტრაცია გახდა 3 ეტაპიანი.

ყველა ბაღს ემსახურება მულტიდისციპლინური გუნდი - მეთოდისტი სპეცპედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ჯანმრთელობის კოორდინატორი;

განისაზღვრა პერსონალური ასისტენტის დანიშვნის წესი სსსმ და შშმ აღსაზრდელებისათვის.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ობიექტების მონიტორინგი

- ## ისნის რაიონში ახლადრეაბილიტირებული N215 საბავშვო ბაგა-ბაღის დათვალიერება

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ისნის რაიონის მაჟორიტარმა კახა ლაბუჩიძემ თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელთან კახა აბულაძესთან, პარლამენტის ისნის რაიონის დელეგატ ნიკა ელისაშვილთან და ისნის რაიონის გამგებელთან დავით ხაბეიშვილთან ერთად, დედაქალაქის ახლადრეაბილიტირებული N215 საბავშვო ბაგა-ბაღი დაათვალიერა.

„ჩვენი ხედვა ბაღებთან მიმართებით უცვლელია. თითოეული ბაღი უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, ამდენად, საბავშვო ბაღების განახლება, მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს და კვლავ გაგრძელდება“ - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

N215 ბაღი "ბაღების განახლების პროგრამის" ფარგლებში გარემონტდა და კეთილმოეწყო. სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების შედეგად, N215 ბაგა-ბაღში სრულად განახლდა შიდა ინტერიერი და ექსტერიერი - მოწესრიგდა ბაღის ეზო. გზის საფარი ბაღის ტერიტორიაზე ისნის რაიონის გამგეობამ დააგო. კახა ლაბუჩიძე, სტუმრებთან ერთად, ასევე, N215 ბაგა-ბაღში გამართულ ზეიმს დაესწრო.

N215 ბაღი 12 ჯგუფიანია და ამჟამად 450 აღსაზრდელს ემსახურება.



- N19 საბავშვო ბაგა-ბაღის დათვალიერება

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, თინათინ ნიბლოშვილთან, თბილისის მერის მოადგილესთან, ირაკლი ბენდელიანთან, თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან, კახა აბულაძესთან და საკრებულოს დიდუბის მაჟორიტართან, გივი ჩხარტიშვილთან ერთად დიდუბის რაიონში მდებარე N19 "საზაფხულო ბაღში" იმყოფებოდა.

სტუმრები გაეცნენ "საზაფხულო ბაღის" მუშაობის პრინციპს, დაათვალიერეს ბაღის ინფრასტრუქტურა, კვების ბლოკები და სააღმზრდელო ჯგუფები. თბილისში 1 ივლისიდან 55 "საზაფხულო ბაღი" ფუნქციონირებს, სადაც 3500-მდე თანამშრომელი 20 000 აღსაზრდელს ემსახურება.

„საზაფხულო ბაღები" თბილისის მერიის სოციალური პროექტია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დასაქმებულ ოჯახებს სააღმზრდელო წლის დასრულების შემდეგ კვლავ ისარგებლონ საბავშვო ბაღების მუნიციპალური სერვისებით. პროექტი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 5 მილიონი ლარით ფინანსდება.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ასევე დიდუბის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ უგულავა, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი პაატა ტოგონიძე და პარლამენტის წევრი ირმა ზავრადაშვილი.



- საბურთალოს რაიონში მდებარე N112 საბავშვო ბაღში ვიზიტი

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე და თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი 112-ე ბაგა-ბაღის „ცისარტყელა“ გამოსაშვებ ზეიმს დაესწრნენ. ღონისძიებაზე, რომელზეც ხუთი ჯგუფის 150-მდე აღზრდილს სამახსოვრო ალბომები გადაეცა, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი კახა აბულაძე და საბურთალოს რაიონის გამგებელი გაიოზ ვასაძე იმყოფებოდნენ.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახა ლაბუჩიძემ ბავშვებს საბავშვო ბაღის დასრულება მიულოცა და წარმატებები უსურვა. ასევე, მადლობა გადაუხადა ბაღის აღმზრდელებსა და პერსონალს ბავშვების სიყვარულითა და სითბოთი აღზრდისთვის, ხოლო მშობლებს — შვილების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. „ბავშვებმა უკვე წარმატებით დაძლიეს ცხოვრების პირველი მნიშვნელოვანი საფეხური და წინ საინტერესო სასკოლო გზა ელით. თითოეული ბავშვი უნიკალურია და ყველას დიდი მომავალი ელის. ბოლო წლებში აღსანიშნავია, თბილისის მუნიციპალიტეტის განსაკუთრებული დამოკიდებულება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიმართ, რასაც ადასტურებს არაერთი რეაბილიტირებული და ახლადაშენებული ბაგა-ბაღი“.

- N121 საბავშვო ბაღში ეზიდური საკვირაო ბაღის გახსნა

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ისნის რაიონის მაჟორიტარი კახა ლაბუჩიძე და თბილისის საკრებულოსთან არსებული ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე რიტა ხიდირბეგიშვილი დედაქალაქის N121 ბაგა-ბაღში ეზიდური საკვირაო ბაღის გახსნას და ეზიდ ბავშვთა კონცერტს დაესწრნენ. ღონისძიება ააიპ ქალთა უფლებების სათემო ინიციატივის ორგანიზებით, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის ხელშეწყობით და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის მხარდაჭერით გაიმართა. შეხვედრას ისნის რაიონის გამგებელი დავით ხაბეიშვილი ესწრებოდა.

თბილისის N121 ბაგა-ბაღი ერთადერთია დედაქალაქში, სადაც ეზიდური ჯგუფი ფუნქციონირებს. ამ ჯგუფში ეზიდი ბავშვები სხვა სავალდებულო დისციპლინებთან ერთად, მშობლიურ ენასაც ეუფლებიან.

„მინდა, მოგილოცოთ დღევანდელი დღე. ძალიან მნიშვნელოვანია ეზიდური ენის შენარჩუნება თბილისში მცხოვრები ეზიდებისთვის. სწორედ ამას ემსახურება ეზიდური ჯგუფის გახსნა N121 ბაგა-ბაღში, სადაც დაახლოებით 20 ეზიდი ბავშვი ეუფლება მშობლიურ ენას. ამ პროექტის მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება"- განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

ღონისძიების ფარგლებში ასევე მოეწყო სახვითი და ფოტოხელოვნების ნამუშევრების გამოფენა.

- დიღმის მასივში მდებარე N19 საბავშვო ბაღში ვიზიტი

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ისნის რაიონის მაჟორიტარი კახა ლაბუჩიძე ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე ახლადაშენებულ N109 საბავშვო ბაღში იმყოფებოდა. ახალი შენობა თბილისის მერმა კახა კალაძემ დაათვალიერა. საბავშვო ბაღში მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანი, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი კახა აბულაძე, ისნის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი რჩეულიშვილი და პარლამენტის დელეგატი ნიკა ელისაშვილი იმყოფებოდნენ.

109 ბაგა-ბაღი დედაქალაქში ყველაზე დიდია და 600-მდე აღსაზრდელს მოემსახურება. ბაღში 470 ბავშვია რეგისტრირებული. ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მდებარე N109 საბავშვო ბაღის 20-ჯგუფიანია. ბაღი მოწყობილია ბავშვთა სკოლამდელი განათლების კუთხით არსებული ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად - უზრუნველყოფილია ბავშვთა უსაფრთხოება ხანძარსაწინააღმდეგო და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით, საევაკუაციო კიბეებით, ლიფტით შშმ პირთათვის და ასევე, ტექნიკური ლიფტით სამზარეულოს პერსონალისთვის. ბაღს აქვს სათამაშო მოედნები და ტერასა სპორტული აქტივობებისთვის. ბაგა-ბაღის მშენელობა და აღჭურვა დედაქალაქის ბიუჯეტიდან 8 მილიონი ლარით დაფინანსდა.

N109 ბაღის დემონტაჟი მისი ავარიულობის გამო განხორციელდა, მის ნაცვლად კი ახალი შენობის მშენებლობა დაიგეგმა. ბაგა-ბაღის გახსნაზე რეაბილიტაციამდე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა იყო წარმოდგენილი.

სამუშაო ვიზიტი ავსტრიის რესპუბლიკის დედაქალაქ ვენაში

საანგარიშო წლის პერიოდში, თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე სამუშაო ვიზიტით ავსტრიის რესპუბლიკის დედაქალაქ ვენაში იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა, მათ შორის ქალაქ ვენის საგანმანათლებლო კამპუსების გაერთიანების განყოფილების უფროსთან, კარინ ბროკალთან, ქალაქის მეორე რაიონის საგანმანათლებლო კამპუსისა და საბავშვო ბაღის ხელმძღვანელ სილვია ალინსთან, ქ. ვენის მერიის ევროპისა და საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელთან, ქალაქის სენატის მრჩეველ თომას რეშთან, მერიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ ფრანც იოსეფ განგელმაიერთან, ვენის სამუსიკო სკოლების დირექტორ სვეა ჰილჩერთან, მუნიციპალიტეტის საბჭოს მრჩეველთან, სახელდების კომისიის თავმჯდომარე გეორგ ნიედერმულბიხლერთან და ვენის მუზეუმის კომუნიკაციისა და ურთიერთობების ხელმძღვანელ ფლორიან პოლაკთან.

საკრებულოს წევრთა განცხადებით, ჩვენს ქვეყანაში არსებული მუნიციპალური პროგრამების გაძლიერებისათვის უცხოური გამოცდილების გაცნობა/გაზიარება წინგადადგმული ნაბიჯი და არსებული გამოწვევების დაძლევის ეფექტიანი საშუალებაა.

ვიზიტის ფარგლებში, საკრებულოს წევრები ასევე ავსტრიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ალექსანდრე მაისურაძეს შეხვდნენ.

დელეგაციის წევრებმა კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებზე, კულტურის სფეროში არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს და წარმატებული რეფორმების მოდელების გაცვლასთან დაკავშირებით სამომავლო გეგმები დასახეს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სახელდების სფეროსაც. კერძოდ, მხარეებმა ქართულ-ავსტრიული ურთიერთობის გათვალისწინებით, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის სახელის მინიჭებაზე იმსჯელეს.

დელეგაციის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს ვიზიტის მნიშვნელობაზე და ქვეყნებს შორის კულტურისა და განათლების სფეროს მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

სტუმრებმა საელჩოს წარმომადგენლებს და პირადად ელჩს, ალექსანდრე მაისურაძეს, ვიზიტის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადეს.

სომხეთის დედაქალაქის, ერევნის მერთან ტიგრან ავინიანთან და მერის მოადგილე ლევონ ჰოვანესიანთან შეხვდრა

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე საქართველოში ვიზიტით მყოფ სომხეთის დედაქალაქის, ერევნის მერს ტიგრან ავინიანს და მერის მოადგილეს ლევონ ჰოვანესიანს შეხვდნენ. შეხვედრას საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის ელჩი აშოტ სმბატიანი ესწრებოდა.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე სტუმრებს მიესალმა და დედაქალაქის საკრებულოში სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა. ზურაბ აბაშიძემ ერევნის მერს სომხეთის დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და ქართველ და სომეხ ხალხს შორის მეგობრობას გაუსვა ხაზი.

„ყოველთვის სასიხარულოა თბილისში ჩვენი მეგობარი ქვეყნის დელეგაციის მიღება. ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებულია. საქართველოს და სომხეთს განვითარების გზაზე ბევრი საერთო აქვს. საინტერესოა ამ თვალსაზრისით, ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება"- განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

ერევნის მერმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალში კეთილმეზობლური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების იმედი გამოთქვა.

შეხვედრაზე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ერევნის მერს დედაქალაქში განხორციელებული და მიმდინარე პროექტებზე, ასევე საკრებულოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ და ერევნის მერმა ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ ისაუბრეს და მომავალი თანამშრომლობის იმედი გამოთქვეს.

კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მონიტორინგი

- ## ისნის რაიონში მდებარე მარო მაყაშვილის სახელობის N3 ბიბლიოთეკის დათვალიერება

სკოლების თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ისნის რაიონის მაჟორიტარმა კახა ლაბუჩიძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორთან, ნინო ანჯაფარიძესთან, ერთად ისნის რაიონში მდებარე მარო მაყაშვილის სახელობის N3 ბიბლიოთეკა დაათვალიერა და თანამშრომლებს რეაბილიტაციის პროექტი გააცნო. დედაქალაქის ბიუჯეტში ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციოდ თანხის გამოყოფას რეკომენდაცია საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ გაუწია და თბილისის ბიუჯეტიდან 250 000 ლარი გამოიყო.

როგორც თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ და ისნის რაიონის მაჟორიტარმა კახა ლაბუჩიძემ განაცხადა, რეაბილიტაციის შედეგად ისნის რაიონს თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა ექნება, რაც მომავალი თაობის წიგნით დაინტერესებისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

„მოგეხსენებათ, თბილისის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით და მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ინიციატივით, ბოლო წლებში თბილისში არსებული რამდენიმე მულტიფუნქციური ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოები განხორციელდა. ვინაიდან, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესთან ერთად, ვარ ისნის რაიონის მაჟორიტარი, ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ისნის რაიონში აღნიშნული პროექტის განხორციელება.“ - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თქმით, ისნის რაიონში მდებარე N3 ბიბლიოთეკა რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ შესაბამისი წიგნადი ფონდებით შეივსება.

ამ ეტაპზე რეაბილიტაცია თბილისში რამდენიმე მულტიფუნქციურ ბიბლიოთეკას უკვე ჩაუტარდა, კერძოდ, ვაკის, დიდუბის, კრწანისის, სამგორის და გლდანის რაიონებში მდებარე ბიბლიოთეკებს, რისთვისაც ჯამურად 2, 306, 524 ლარი დაიხარჯა.

- ## მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნის ღონისძიება

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას რეაბილიტირებული მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნას დაესწრო. სახლ-მუზეუმი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა, კულტურის მინისტრმა თიკა რუხაძემ და დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ გახსნეს.

მუზეუმის არსებობის განმავლობაში, პირველად ჩატარდა მისი სარემონტო და ინფრასტრუქტურული განახლება, რადგან შენობა და ექსპოზიციური სივრცეები თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ პასუხობდა.

რეაბილიტაციის შედეგად, მუზეუმი აღიჭურვა უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას იძლევა, უკეთ წარმოჩნდეს მერაბ კოსტავას ცხოვრება, მოღვაწეობა და მისი როლი საქართველოს უახლეს ისტორიაში. ასევე შეიქმნა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცე და ფონდსაცავი, რაც მუზეუმში დაცული 20 000-ზე მეტი ექსპონატის სათანადო შენახვას უზრუნველყოფს.

კეთილმოეწყო მუზეუმის ეზო, რომელიც გაფართოვდა და დამთვალიერებლისთვის კომფორტულ სივრცედ გადაიქცა.

მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი მერის მოადგილეებმა ანდრია ბასილაიამ და კახა აბულაძემ, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ, თბილისის მუზეუმების გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა გიგა დაიაურმა, მთაწმინდის რაიონის გამგებელმა დავით კირკიტაძემ, ასევე, პარლამენტის წევრებმა დაათვალიერეს.

- ## პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის რეაბილიტირებული შენობის დათვალიერება

კახაბერ ლაბუჩიძემ და არმენ პამბუხჩიანმა პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის რეაბილიტირებული შენობა დაათვალიერეს.

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ისნის რაიონის მაჟორიტარმა კახაბერ ლაბუჩიძემ და ერევნის ვიცე-მერმა არმენ პამბუხჩიანმა, თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის ახლადაშენებული შენობა დაათვალიერეს, სადაც სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა.

კახაბერ ლაბუჩიძეს და არმენ პამბუხჩიანს სომხური დრამატული თეატრის დირექტორმა არმენ ბაინდურიანმა უმასპინძლა და ახლადაშენებული შენობა დაათვალიერებინა.

„მოხარული ვარ, რომ ადგილობრივი განვითარების რეგიონული ფორუმის ფარგლებში საქართველოს დედაქალაქში ვიზიტად მყოფ ერევნის ვიცე-მერს არმენ პამბუხჩიანს სომხური დრამატული თეატრის შენობის ნახვისა და დათვალიერების საშუალება მიეცა. ამ თეატრის შენობა, ხომ თავიდან აშენდა. სავალალო მდგომარეობაში მყოფი შენობის აღდგენითი სამუშაოები ფონდმა „ქართუმ“ ითავა. მინდა მადლობა გადავუხადო საქველმოქმედო ფონდს, რომელმაც მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით შეუძლებელი შეძლო და შედეგად ახლადაშენებული სომხური დრამატული თეატრი, სულ მალე თავის ახალი მაყურებლის მიღებას შეძლებს“, - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

თავის მხრივ, ერევნის ვიცე მერმა თეატრალურ დასთან შეხვედრისას საქართველოს ხელისუფლებას, მუნიციპალიტეტს და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ განხორციელებული სამუშაოებისთვის მადლობა გადაუხადა.

სამუშაოების ფარგლებში, ძველი შენობის სრული დემონტაჟი განხორციელდა. შენობის მთელ პერიმეტრზე მოეწყო დრენაჟი. თეატრის შენობა გაყოფილია ორ ნაწილად – სცენის ნაწილი და დარბაზი. ორივე ნაწილზე რკინა-ბეტონის კარკასის აეწყო. ახალი პროექტის მიხედვით, 6 403 კვ.მ ფართობის სრულიად ახალი შენობა აშენდა. სომხური დრამატული თეატრის სრული აღდგენა საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ განახორციელა.

- მოსწავლე-ახალგაზრდობის განახლებული სასახლის დათვალიერება

თბილისი საკრებულოს თავმჯდომარემ, ზურაბ აბაშიძემ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან, დედაქალაქის მერ კახა კალაძესთან და საკრებულოს წევრებთან ერთად მოსწავლე-ახალგაზრდობის განახლებული სასახლე დაათვალიერა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რეაბილიტაცია-რესტავრაცია პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში თბილისის განვითარების ფონდმა დაასრულა.

პროექტის ფარგლებში, სრულად რეაბილიტირდა საინჟინრო ქსელები, გაძლიერდა შენობის ფუძე-საძირკველი, კონსტრუქციულად გამაგრდა ძირითადი და დამხმარე ნაგებობები, ჩატარდა ფასადის რესტავრაცია, შეიცვალა სახურავის, ბურულისა და წვიმასატარი სისტემები, განახლდა ბაღის ისტორიული ღობე და ჭედური ჭიშკარი.

გარდა ამისა, რესტავრაცია ჩაუტარდა ისტორიულ ავეჯს, აღდგა იატაკი და ჭერი; ჩატარდა მხატვრულ-დეკორატიული დარბაზების კონსერვაცია-რესტავრაცია, ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, ხოლო ე.წ. სარკეებიან დარბაზში აღდგა კარები და დარაბები.

რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობა XIX საუკუნის შუა წლებშია აგებული. სასახლე გამოირჩევა ისეთი უნიკალური არქიტექტურული სივრცეებით, როგორებიცაა: ე.წ. სარკეებიანი დარბაზი, მარმარილოს დარბაზი და თეთრი დარბაზი. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია, რომელიც 4 500-მდე მოსწავლეს აერთიანებს. თბილისის განვითარების ფონდმა სასახლის რეაბილიტაცია 2020 წელს დაიწყო. სამუშაოები კომპანია „ინსმა“ შეასრულა, პროექტის საერთო ღირებულებამ კი 56 428 251 ლარი შეადგინა.

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები

- მშობლიური ენის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახა ლაბუჩიძემ, მშობლიური ენის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, თბილისის საკრებულოს და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარდა.

მშობლიური ენის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნება. წელს იმ მწერლებთან, მთარგმნელებთან და ჟურნალისტებთან გაიმართა შეხვედრა, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა ენებზე წერენ და თარგმნიან. მათ საზოგადოებას საკუთარი შემოქმედება გააცნეს.

„ჩვენ, როგორც დემოკრატიულ პლატფორმაზე მდგომი ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი ქვეყანა, ასევე მრავალსაუკუნოვანი ტოლერანტობის ტრადიციის, მრავალეროვანი და მრავალენოვანი საზოგადოების თანაცხოვრების გამოცდილების მქონე ერი, ვუერთდებით საერთაშორისო ვალდებულებას, რათა საქართველოში მცხოვრებ ამა თუ იმ ენობრივ ჯგუფს ხელი შევუწყოთ მშობლიური ენის დაცვასა და განვითარებაში", - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

ღონისძიების ფარგლებში, სპეციალური საჩუქრები და სიგელები გადაეცათ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ, სომეხ, ოს, უკრაინელ, უდი და პოლონელ მწერლებს, მეცნიერებს, ჟურნალისტებს და მთარგმნელებს.

მშობლიური ენის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად აღინიშნება 21 თებერვალს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ინფორმირებულობას ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ.

21 თებერვალი მშობლიური ენის დღედ იუნესკომ 1999 წლის 17 ნოემბერს გამოაცხადა, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2002 წელს გაეროს რეზოლუციით ოფიციალურად აღიარა.

- თემქის მედიათეკაში თბილისის მუნიციპალური სერვისი „60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის“ გახსნა.

თემქის მედიათეკაში თბილისის მუნიციპალური სერვისი „60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის“ გაიხსნა. ღონისძიებას თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი მარიკა დარჩია ესწრებოდნენ.

პროექტი ხორციელდება თბილისის მერიისა და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების ორგანიზებითა და გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) პარტნიორობით.

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ პროექტის ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

„60+ კლუბი“ თბილისის მუნიციპალური სერვისია და განკუთვნილია 60 წლისა და მეტი ასაკის ადამიანებისთვის, რომელთაც სურთ გაიუმჯობესონ ცხოვრების ხარისხი, შეინარჩუნონ ჯანმრთელობა და იყვნენ საზოგადოების აქტიური წევრები“, განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

კლუბის წევრებისთვის დაგეგმილია როგორც ყოველდღიური, ისე დამატებითი აქტივობები: ცეკვა, ხატვა და მათი ასაკობრივი კატეგორიისთვის სპეციალურად შემუშავებული ვარჯიშები. ასევე, გაიმართება ერთჯერადი ღონისძიებები, მასტერკლასები და სხვადასხვა სახის შემოქმედებითი აქტივობები. კლუბის წევრებს საშუალება აქვთ აითვისონ ახალი უნარები, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, თავად დაგეგმონ და განახორციელონ ღონისძიებები.

თემქის მედიათეკაში გახსნილი კლუბი თბილისში უკვე მეორეა. პირველი კლუბი 2022 წელს მირზა გელოვანის სახელობის მე-2 ბიბლიოთეკაში გაიხსნა, რომელიც უკვე 150-მდე წევრს ითვლის.

ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდა გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, მარიამ ბანძელაძე.

- ## ხელოვან ფატიმა თურმანიძესთან ვიზიტი

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე მერიის პროგრამის „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ავტორს, თბილისში მცხოვრებ ხელოვან ფატიმა თურმანიძეს ესტუმრა.

კახა ლაბუჩიძემ ადგილზე დაათვალიერა სახელოსნო, სადაც ოსტატის მიერ წარმოდგენილი იყო უნიკალური ხალხური ტრადიციული საკრავები, რომლებსაც ავტორი უკვე წლებია საკუთარი ხელით ამზადებს.

როგორც ფატიმა თურმანიძემ განაცხადა, მისი ხელით შექმნილი ინსტრუმენტებით ადგილობრივი და უცხოელი მუსიკოსები დიდად არიან დაინტერესებულნი.

„მერიის მხარდაჭერით მიღებული დაფინანსება ფატიმა თურმანიძეს შესაძლებლობას მისცემს, გააფართოოს სახელოსნო, შეიძინოს საჭირო მასალა და განახორციელოს ის ახალი პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქართული მუსიკალური მემკვიდრეობის პოპულარიზაციას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ“, - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

კახა ლაბუჩიძემ ხელოვანს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან ქართული ტრადიციული ხელოვნების მიმართ მხარდაჭერა კვლავ გაგრძელდება.

- ## პირველი რესპუბლიკის დროშის აღიმართვის ღონისძიება

თბილისის მუზეუმების გაერთიანების ორგანიზებით და დედაქალაქის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ჩართულობით, მერაბ კოსტავას

სახლ-მუზეუმის ეზოში დამონტაჟებულ ბოძზე პირველი რესპუბლიკის დროშა აღიმართა. ღონისძიებას თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე თბილისის მუზეუმების გაერთიანების დირექტორ გიგა დაიაურთან ერთად დაესწრო. დამსწრე საზოგადოება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას, დაბადების დღეს სიმბოლურად დროშის აღმართვით შეხვდა.

დროშის აღმართვის ტრადიციას საფუძველი მერაბ კოსტავამ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ჩაუყარა.

დროშის აღმართვის ღონისძიებაში ახალგაზრდა თაობამ მიიღო მონაწილეობა.

- N21 სკოლის მოსწავლეების ვიზიტი საკრებულოში

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან ზურაბ აბაშიძესთან ერთად, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ კახეთელიძესთან და მთაწმინდის რაიონის გამგებელ დავით კირკიტაძესთან ერთად თბილისის N21 საჯარო სკოლისა და გერმანიის ქალაქ ჰომბურგის ზაარპფალცის გიმნაზიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

თბილისის საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის ისტორიულ დარბაზში გამართული შეხვედრა საკრებულოს თავმჯდომარემ გახსნა. ზურაბ აბაშიძემ ქართველ და გერმანელ სტუმრებს მუნიციპალიტეტის მუშაობაზე ინფორმაცია მიაწოდა, ქართულ-გერმანულ საგანმანათლებლო ურთიერთობებზე ისაუბრა და საკრებულოში სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა.

თბილისის N21 საჯარო სკოლაში გერმანული ენა სპეციალური, გაძლიერებული პროგრამით ისწავლება და რეგულარულად ხორციელდება გაცვლითი პროგრამები, რომელთა დროსაც მიმღები სკოლა საკუთარ ქვეყანას, მის სოციალური და ეკონომიკური ვითარებას, ასევე რეგიონის ისტორიას და კულტურას წარმოადგენს. შეხვედრის შემდეგ სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

- ## მშობლიური ენის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში

თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ინიციატივით, საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს მხარდაჭერით მშობლიური ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე, რომელმაც მშობლიური ენის დაცვისა და განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„მშობლიური ენის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში, განათლების და კულტურის კომისიის მხრიდან ყოველწლიურად აღინიშნება. საქართველოში მრავალი ეთნოსი ცხოვრობს, რომელთათვის მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რამდენადაც აღინიშნება ერის იდენტიფიკაციის დღე. ენა არის მთავარი მონაპოვარი ამა თუ იმ ერისა, ის განმსაზღვრელია ერის კულტურის და იდენტობის," - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

მშობლიური ენის საერთაშორისო დღე იუნესკომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, განვითარებისა და წარმოჩენის მიზნით 1999 წელს დააწესა. საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2015-2016 წლებში შესაძლებელი გახდა საქართველოს ზოგიერთ სკოლაში მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენების სწავლება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1978 წელს განვითარებული მოვლენების შემდეგ დედაენის დღედ 14 აპრილი გამოცხადდა.

- ## ერეკლე მეორის ძეგლის გახსნის ღონისძიება

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე და საკრებულოს წევრები, ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე ე.წ. სამგორის პარკში, დიდი ქართველი მეფის ერეკლე მეორის ძეგლის გახსნას დაესწრნენ. ძეგლი დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ირაკლი კობახიძესთან ერთად გახსნა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ თბილისის მერი კახა კალაძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, საქართველოს კულტურის მინისტრი თიკა რუხაძე.

თბილისის მერმა მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს ძეგლის განთავსების ინიციატივისთვის, ასევე, კულტურის სამინისტროსა და მოქანდაკეების ჯგუფს, რომელმაც ძეგლზე იმუშავა.

ძეგლი თბილისის მერიისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით დაიდგა. ნამუშევარი მოქანდაკეების ჯგუფმა ცნობილი მოქანდაკის, მერაბ მერაბიშვილის ესკიზის მიხედვით შექმნა. მონუმენტი, რომელიც ე.წ. სამგორის პარკში ერეკლე II-ის ღვაწლის უკვდავსაყოფად განთავსდა, სივრცეს დამატებით კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ღონისძიებას მთავრობის, პარლამენტის, მერიისა და გამგეობის წარმომადგენლები, ასევე მოქანდაკეები, არქიტექტორები და სხვა ხელოვანები ესწრებოდნენ.

- სსიპ კოლეჯ „სპექტრში" დურგალთა საწარმოს დასაფუძნებლად სამმხრივი მემორანდუმის გაფორმება

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე სსიპ კოლეჯ „სპექტრში" იმყოფებოდნენ, სადაც დურგალთა საწარმოს დასაფუძნებლად სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ, სსიპ კოლეჯ „სპექტრის" დირექტორმა მათე ტაკიძემ და შპს „დურგალთა სკოლის" დირექტორმა აკაკი გურგენიძემ მოაწერეს.

„საკრებულოსთვის კოლეჯი „სპექტრი" სანდო და სტრატეგიული პარტნიორია. ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ წლებია და დღესაც კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი სპექტრის ხელმძღვანელობას, თითოეულ თანამშრომელს იმისთვის, რასაც ისინი საქართველოში პროფესიული განვითარებისთვის აკეთებენ. მინდა, წარმატება ვუსურვო კოლეჯ „სპექტრს", დურგალთა სკოლას, განათლების სამინისტროს, და განსაკუთრებით იმ ადამიანებს, რომლებიც ამ პროგრამით სარგებლის მიმღებები იქნებიან"- განაცხადა თინათინ ნიბლოშვილმა.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, შპს „დურგალთა სკოლას" 15 წლით სარგებლობაში, უსასყიდლოდ გადაეცა სსიპ კოლეჯ „სპექტრის" კანონიერ სარგებლობაში არსებული შენობა, მასში „სადურგლო საქმის" მიმართულებით ახალი სასწავლო საწარმოს კეთიმოსაწყობად. სამხრივი თანამშრომლობის ფარგლებში შენობის რეაბილიტირებას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

- N172 სკოლის მოსწავლეების ვიზიტი საკრებულოში

თთბილისის საკრებულოში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახა ლაბუჩიძემ ისნის რაიონში მდებარე N172 სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს, სკოლის დირექტორს, დავით ბრეგვაძეს, დირექტორის მოადგილეს, ქეთევან გონაშვილსა და მასწავლებელს, ზაიგულ ტვილდიანს უმასპინძლა. საკრებულოს წევრმა სტუმრებს საკრებულოს ისტორიული შენობა დაათვალიერებინა და შენობის ისტორიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

გარდა ამისა, კახა ლაბუჩიძემ მოსწავლეებს წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კახა ლაბუჩიძე მოსწავლეებს დედაქალაქის მართვის პროცესში საკრებულოს საქმიანობის მნიშვნელობაზეც ესაუბრა.

როგორც საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, შეხვედრის მიზანი მუნიციპალიტეტის საქმიანობის თაობაზე მოსწავლეთა ინფორმირებულობის გაზრდაა. მისივე თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია თვითმმართველობის მუშაობის პრინციპებზე.

საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონია

„თბილისობა 2025“-ის ფარგლებში, სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში, საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. 2025 წლის საპატიო თბილისელებს დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ თბილისის სიმბოლური გასაღები და სიგელები გადასცა. საზეიმო ღონისძიებას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე და საკრებულოს უმრავლესობის წევრები ესწრებოდნენ.

დედაქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებით, საპატიო თბილისელის წოდება წელს 30 მოქალაქეს მიენიჭა.

2025 წლის საპატიო თბილისელები გახდნენ:

ზურაბ თურმანიძე - ექიმი, ქირურგი, სამხედრო-სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, იუნესკოს ხალხური მედიცინის ევროპის საერთაშორისო კომისიის წევრი; თინათინ მღვდლიაშვილი - პოეტი, მხატვარი; ჯენარო ქრისტესაშვილი - ექიმი-რეპროდუქტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; ნოდარ ჩხარტიშვილი - ბიოლოგი, მეცნიერი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის წევრი; ბაკურ კიღურაძე - არქიტექტორი, მეცნიერი; ოთარ გაბელაშვილი - ინჟინერი, სამთო გეოლოგი; გივი ჭიჭინაძე - ინჟინერი, მომღერალი, პოლიტიკოსი. ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრი; თენგიზ გუგეშაშვილი - ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თოდუას კლინიკის თორაკო-აბდომინალური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; გოგა პიპინაშვილი - თეატრისა და კინოს მსახიობი, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის დასის წევრი; თომზირ ცომაია - სპორტსმენი, ტანმოვარჯიშე; თინა მგალობლიშვილი - დიქტორი, მსახიობი; დავით ევგენიძე - კომპოზიტორი, პიანისტი; ზურაბ აბაშიძე - დიპლომატი, მეცნიერი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი; სხვადასხვა დროს იკავებდა საპასუხისმგებლო თანამდებობებს, მათ შორის, იყო: საქართველოს პირველი ელჩი ევროკავშირში, საქართველოს დიპლომატიური მისიის პირველი ხელმძღვანელი ნატოში; არჩილ გოგელია - მოფარიკავე, ჟურნალისტი, სპორტსმენი, პოლიტიკოსი; თეიმურაზ ჩიგოგიძე - ექიმი-უროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; ვლადიმერ (ვახტანგ) ვეფხვაძე - გამომცემელი, მეცენატი; გიორგი ბურჯანაძე - ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; ლაუზ (რეზო) ჭანიშვილი - ქორეოგრაფი-ქორეოლოგი, მოცეკვავე, დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საერთაშორისო პრემიის ლაურეატი; ნუგზარ კვაშალი - მომღერალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ანსამბლ „ივერიის“ სოლისტი, ანსამბლ „ხომლის“ წევრი; რომან (რომა) რცხილაძე - მუსიკოსი, კომპოზიტორი, მომღერალი; თინათინ ბუკია - ექიმი, პედაგოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ლაბორატორიული მედიცინის ასოციაციის დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი; ნოდარ მითაგვარია - ბიოლოგი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი; ნანული აბესაძე - მომღერალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; მანანა თოდაძე - მომღერალი, მსახიობი; 50 წლის განმავლობაში იყო ანსამბლ „ივერიის“ სოლისტი; ნანული სარაჯიშვილი - კინოსა

და თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; ლეილა მუმლაძე - მუსიკოსი, პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი; თამაზ მოლაშვილი - მუსიკოსი, პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წლიანი სტაჟით; ნიკოლოზ შენგელაია - მხატვარი, მისი ნამუშევრები დაცულია საფრანგეთის, სირიის, ჰოლანდიის და სხვა კერძო კოლექციებში; მალხაზ დოლიძე - პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელსაც ერთ-ერთ პირველს პურპროდუქტების დარგში მიენიჭა ღირსების ორდენი; ჯიმი ყიფიანი - იურისტი, მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი თბილისის საზოგადოებრივ და იურიდიულ ცხოვრებაში.

ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდი”

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის” საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს: თანამედროვე ხელოვნების და არტისტების პოპულარიზაციას, ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების ხელმისაწვდომობას საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის; გამოფენებისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელების მეშვეობით ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერას და მათი შემოქმედებით ზრდის წახალისებას; ღია კონკურსების მეშვეობით სახელოვნებო სფეროში სახელოვნებო და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურებას და ხელოვანების, მათ შორის ახალგაზრდა ხელოვანების ექსპერიმენტული, ინოვაციური, კრეატიული და მასშტაბური პროექტების განხორციელებას; სხვადასხვა სახის შეხვედრის, კონფერენციის, სიმპოზიუმ(ებ)ის, ჩვენების, ლექციის, ტურის, ვორქშოფის და მსგავსი ბუნების/ხასიათის ღონისძიების ჩატარების მეშვეობით სამოქალაქო საზოგადოებაში კულტურული, შემოქმედებითი შეგნების ამაღლებას და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობის ამაღლებას; წამყვან დასავლურ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის მეშვეობით თანამედროვე საერთაშორისო ხელოვნების პოპულარიზაციას საქართველოში, ხოლო ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას საზღვრებს გარეთ; საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების შექმნას და აღნიშნულის მეშვეობით ქალაქ თბილისის იერსახის გაკეთილშობილებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- საჯარო სივრცეში დროებითი და მუდმივი პროექტების ხელშეწყობის 4-6 პროექტები;
- წამყვან დასავლურ კერძო კოლექცია „Julia Stoschek Foundation“ პარტნიორობით მოეწყობა მსოფლიო ვიდეო არტის გამოფენა;
- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 50მდე სხვადასხვა ტიპის ღონისძიება;
- თავისუფალი ხატვის მასშტაბური ღონისძიება თბილისის ერთ-ერთ სტადიონზე.

დიმიტრი ყიფიანის საფოსტო მარკის შექმნა

განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით განხორციელდა დიმიტრი ყიფიანის საფოსტო მარკის გამოშვება.

2025 წელს სრულდება 150 წელი იმ მნიშვნელოვანი მოვლენიდან, როდესაც ქალაქ თბილისის თავად არჩეულ იქნა მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, ყოველი მნიშვნელოვანი საერო და საზოგადო საქმის სულისჩამდგმელი, მწერალი, მთარგმნელი, გამომცემელი, დრამატურგი, „თავდადებული“ - საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული დიმიტრი ყიფიანი.

2015 წლიდან თბილისის საკრებულოს ისტორიული სხდომათა დარბაზი დიმიტრი ყიფიანის სახელს ატარებს. ამავე დარბაზში წარმოდგენილია მისი ბიუსტიც. გარდა ამისა, დედაქალაქის საკრებულოში დიმიტრი ყიფიანის სახელობის საგამოფენო სივრცეც ფუნქციონირებს. ამის გათვალისწინებით, განათლებისა და კულტურის კომისია წარადგინა ინიციატივა, შეიქმნილიყო დიმიტრი ყიფიანის საფოსტო მარკა; ვინაიდან, მარკა არის მეხსიერების მატარებელი - მცირე ფორმატში გადმოცემული დიდი ისტორია. აღნიშნული საფოსტო მარკა შეიძლება გახდეს ფილატელისტების საერთაშორისო გამოფენების ნაწილი, რასაც საგარეო კულტურულ - პოლიტიკურ დონეზე ურთიერთობების გაღრმავებაც შეუძლია და ასევე, ასახავს ქვეყნის ისტორიასა და კულტურას ვიზუალურ ფორმატში. ტრადიციულად, ხომ მარკების საშუალებით საქართველოს საფოსტო სისტემა აღნიშნავს და პატივს სცემს ქვეყნის მნიშვნელოვან პიროვნებებს, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ქვეყნის ისტორიულ ბედზე. დიმიტრი ყიფიანის მარკა გააცნობს ფართო საზოგადოებას საქართველოს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და კულტურულ ფიგურას - ქალაქ თბილისის არჩეულ თავს.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს განვითარებაში დიმიტრი ყიფიანმა უდიდესი როლი შეასრულა. იგი აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში. გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. აღსანიშნავი და ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ დიმიტრი ყიფიანი 1875-1879 წლებში თბილისის არჩეული ქალაქის თავი იყო. მის სახელს უკავშირდება პირველი ქართული ჟურნალის, „ცისკრის“ დაფუძნება.

2025 წელს სრულდება 150 წელი იმ მნიშვნელოვანი მოვლენიდან, როდესაც დიმიტრი ყიფიანი თბილისის ქალაქის თავად იქნა არჩეული. ეს ფაქტი არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საწყისს უდებს საფუძველს, არამედ, ხაზს უსვამს ჩვენი ქალაქის მმართველობითი კულტურისა და დემოკრატიული ტრადიციების ხანგრძლივობას. დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობა განასახიერებს პატრიოტიზმს, სამოქალაქო სიმამაცესა და ეროვნული ღირებულებების დაცვის მაღალ სტანდარტს.

დიმიტრი ყიფიანის 150 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკის გამოშვება მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, საზოგადოებას გავახსენოთ დიმიტრი ყიფიანის დამსახურება და, ამავდროულად, პატივი მივაგოთ მის მემკვიდრეობას.

საფოსტო მარკის დამზადება სწორედ ის სიმბოლური და კულტურულ-საგანმანათლებელო ჟესტია, რომელიც ამ ღირსეულ თარიღს სათანადოდ გააჟღერებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით შეიქმნა დიმიტრი ყიფიანის საფოსტო მარკა.

მახათას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის პირველი წიგნის გამოცემა

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივითა და მხარდაჭერით, მახათას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის შესახებ პირველი წიგნი გამოიცა. წიგნი 2018-2023 წლებში მახათაზე დაკრძალულ საზოგადო მოღვაწეთა საცნობარო გამოცემას წარმოადგენს. პროექტი განხორციელდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა „შემოქმედებითი თბილისის“ ფარგლებში და გამოყენებულია ფოტოები საოჯახო ფოტოარქივებიდან. წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „სეზანში“ და წარმოადგენს მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული კულტურული მემკვიდრეობისათვის“, - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

როგორც კახა ლაბუჩიძემ აღნიშნა, გამოცემის მიზანი იყო მახათას პანთეონის დაარსებიდან დღემდე დაკრძალული საზოგადო მოღვაწეების შესახებ მაქსიმალურად სრული და სტრუქტურირებული ინფორმაციის თავმოყრა. მისი თქმით, წიგნში წარმოდგენილია მოღვაწეთა ბიოგრაფიული მონაცემები, მათი გარდაცვალებისა და დაკრძალვის თარიღები, გამოსვენების ადგილები და არანაკლებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია - თუ ვინ იყო კონკრეტული მოღვაწის პანთეონში დაკრძალვის ინიციატორი.

წიგნი არის კარგი ინფორმაციული გზამკვლევი. ის შექმნილია მაღალი პასუხისმგებლობითა და ზუსტ ფაქტებზე დაყრდნობით. მასში შესულია საზოგადოების, ოჯახებისა და ექსპერტების შენიშვნები, რათა გამოცემას სრულად წარმოეჩინა თითოეული მოღვაწის მემკვიდრეობა.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახა ლაბუჩიძემ, აღნიშნა, რომ გამოცემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ისტორიული და ბიოგრაფიული კუთხით, არამედ როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დაეხმარება მომავალ თაობებსა და მკვლევრებს, უკეთ გაიაზრონ იმ ადამიანთა ღვაწლი, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქვეყნის განვითარებაში.

მემორიალური დაფების გახსნის ღონისძიებები

- ### ღირსი ბერი გაბრიელი (ურგებაძე) აღმსარებელი და სალოსის მემორიალური დაფის გახსნა

თბილისში გია ბაქარაშვილის N11-ში მამა გაბრიელის მემორიალური დაფა გაიხსნა. მრევლმა, სასულიერო პირებმა და საზოგადო მოღვაწეებმა კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი წმინდა ბერის ხსოვნას.

აღნიშნული საკითხი თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა და მას დადებითი რეკომენდაცია მისცა.

„ეს მხოლოდ მემორიალური დაფა არ არის - ეს არის სიმბოლო, რომელიც გვახსენებს მამა გაბრიელის ცხოვრების მთავარ გზავნილს: სიმდაბლეს, სიყვარულს და რწმენას. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მემორიალური დაფის გახსნის თხოვნით მოსახლეობამ მოგვმართა, რადგან უამრავი მომლოცველი მიდიოდა არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ მთელი სოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. აქ ჩამოდიან იმ მადლთან საზიარებლად, რაც მამა გაბრიელს ჰქონდა“, – აღნიშნა ღონისძიების ორგანიზატორმა, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კახა ლაბუჩიძემ.

- ### ლევან კბილაშვილის მემორიალური დაფის გახსნა

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის მხარდაჭერით, გლდანში, ლევან კბილაშვილის ქუჩის 6 ნომერში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, მომღერლის ლევან კბილაშვილის მემორიალური დაფა განთავსდა.

მემორიალური დაფის განთავსება მომღერლის შემოქმედების მიმართ პატივისცემის გამოხატულებაა. „ქართული ხალხური ფოლკლორისა და საესტრადო მუსიკის უბადლო შემსრულებელმა, ლევან კბილაშვილმა საკმაოდ საინტერესო ცხოვრების გზა გაიარა, მან 6 წლის ასაკში დაიწყო სიმღერა და ახალგაზრდა ასაკში ბევრი მნიშვნელოვანი წარმატებით დაამახსოვრა თავი საზოგადოებას. ამ მემორიალური დაფის განთავსებით, მისი შემოქმედების მიმართ პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოვხატეთ“- განაცხადა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კახა ლაბუჩიძემ.

- ### ქეთევან კიკნაძის მემორიალური დაფის გახსნა

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის მხარდაჭერით, მთაწმინდის რაიონში, პაოლო იაშვილის N7-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, სახალხო არტისტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ქეთევან კიკნაძის მემორიალური დაფა განთავსდა.

როგორც ღონისძიებაზე განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კახა ლაბუჩიძემ განაცხადა, მემორიალური დაფის განთავსება მსახიობის შემოქმედების მიმართ პატივისცემის გამოხატულებაა. „ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეული მოღვაწის, ქეთევან კიკნაძის მიმართ ამ მემორიალური დაფის განთავსებით, მისი შემოქმედებისადმი პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოვხატეთ. ჩვენმა მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, რა დიადი ადამიანებით იყო მდიდარი ქართული საზოგადოება, ხოლო

მისმა თანამედროვეებმა კი მუდამ უნდა გაიხსენონ ადამიანი, რომელმაც არაერთი სახასიათო როლი შექმნა და წარუშლელი კვალი დატოვა. ქეთევან კიკნაძეს ჰქონდა უამრავი სახელმწიფო ჯილდო,მაგრამ ჰქონდა მთავარი-ხალხის განუზომელი სიყვარული".

ღონისძიებას დაესწრნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე, საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე, პარლამენტის დეპუტატი ეკა სეფაშვილი, მსახიობის ოჯახის წევრები, კოლეგები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები.

მემორიალური დაფები

განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ, საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა შემდეგი მემორიალური დაფების განთავსების საკითხი:

I. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა მოქალაქემ, აკაკი მხეიძემ, რომელმაც მოითხოვა ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის N27-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე ომარ მხეიძის მემორიალური დაფის განთავსება.

განმცხადებლის ინფორმაციით, განმცხადებლის ინფორმაციით, ომარ მხეიძე 1953 წლიდან იყო საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის წამყვანი სოლისტი (ხელმძღვანელი ჯ. ბაგრატიონი); იგი იყო საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის მოცეკვავე (ხელმძღვანელები ნ. რამიშვილი, ი. სუხიშვილი), სადაც 30 წელი იღვაწა. ომარ მხეიძეს მიღებული აქვს არაერთი წოდება, მათ შორის: რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ეროვნული პრემიის ლაურეატი, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის საპატიო მოქალაქე, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს სამეფო კლუბის ღვაწლმოსილი წევრი, "წლის ადამიანი", "ქართული კულტურის ამაგდარი", "ქართული კულტურის რაინდი", საპატიო სიგელი "სახალხო სიყვარული", როგორც ორი საუკუნის ქართული ცეკვის ლეგენდა, "საუკუნის მოცეკვავე", "ხელოვნების ქურუმი", პატრიარქ ილია მეორის ინიციატივით, ფონდმა "ქართული გალობა", 2016 წლის 8 ივნისს, ქართული ხალხური ცეკვის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიანიჭა - "ღვაწლმოსილი მოცეკვავის წოდება". 2011 წელს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზთან გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული წერილი, კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

II. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა დაკულტურის კომისიას წერილობით მომართა მოქალაქემ, ნინო ლორთქიფანიძემ, რომელმაც მოითხოვა რომელმაც მოითხოვა ქალაქ თბილისში, პაოლო იაშვილის N7-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე ქეთევან კიკნაძის მემორიალური დაფის განთავსება.

განმცხადებლის ინფორმაციით, ქეთევან კიკნაძე გადაღებულია 16-ზე მეტ მხატვრულ, სატელევიზიო ფილმსა და სერიალში: მარიამი („შეხვედრა წარსულთან“, 1966 წელი), თინა („ტარიელ გოლუა“, 1968 წელი), ბეჩუნი პერტია („დათა თუთაშხია“, 1978 წელი), ზაზას დედა („თეთრი ბაირაღები“, 1990 წელი), მარგო („პრემიერა“, 1991), ქეთევან დედოფალი („წიგნი ფიცისა“, 1983), გულჩინა („ყავა და ლუდი“) და სხვა. მონაწილეობდა 100-მეტ სპექტაკლში: ხატია („მე ვხედავ მზეს“), მაკა („ბუდე მეცხრე სართულზე“), ოგიუსტინა („რვა მოსიყვარულე ქალი“), ბეტი („ჩარლის დეიდა“) და სხვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული წერილი, კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

III. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა მოქალაქემ, მერაბ გეგეჭკორმა, რომელმაც მოითხოვა

რომელმაც მოითხოვა ღამბაშიძის ქ. N3-ში, კონსტანტინე ანდრონიკაშვილის მემორიალური დაფის განთავსება.

განმცხადებლის ინფორმაციით, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი იყო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი, თელავის პირველი დემოკრატიულად არჩეული მერი, საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის თავმჯდომარე და 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მოთავე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული წერილი, კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

IV. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა ნინო თორაძემ, რომელმაც მოითხოვა ქალაქ თბილისში, ქ. თბილისში, დავით თორაძის ქუჩა #3-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ალექსანდრე (ლექსო) თორაძის მემორიალური დაფის განთავსება.

ალექსანდრე (ლექსო) თორაძე იყო საყოველთაოდ აღიარებული პიანისტი, როგორც რომანტიკული ტრადიციის ვირტუოზი შემსრულებელი. მან ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს დიდ პიანისტთა შორის თვითმყოფადი ინტერპრეტაციებით, ღრმა პოეტური ლირიზმითა და მკაფიო ემოციურობით.

კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

V. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა თამარა ბეთანელმა, რომელმაც მოითხოვა ქალაქ თბილისში, ქ. თბილისში, პეკინის გამზირ N39-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში არჩილ ბეთანელის მემორიალური დაფის განთავსება.

განმცხადებლის ინფორმაციით, არჩილ ბეთანელი იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი.

კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

VI. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა, მერაბ დონაძემ, რომელმაც მოითხოვა ქალაქ თბილისში გ. ტაბიძის №18-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მერაბ დონაძის მემორიალური დაფის განთავსება.

მერაბ დონაძე იყო საქართველოს დამსახურებული არტისტი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, ღირსების ორდენის კავალერი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული წერილი, კომისიამ მსჯელობის შედეგად

დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

VII. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა ნუგზარ უბერმა, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისში, კავსაძის ქუჩა №4-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე ლეოპოლდ ძაძამიძის მემორიალური დაფის განთავსება.

ლეოპოლდ ძაძამიძე იყო საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

VIII. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა თამარ ბალავაძემ, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისში, ნინო რამიშვილის №2-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე ვახტანგ ბალავაძის მემორიალური დაფის განთავსება.

განმცხადებლის ინფორმაციით, ვახტანგ ბალავაძე იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, „ჭიდაობის პროფესორი“.

კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

სკოლის სახელდებები

- ### სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დარეგისტრირდა სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს განცხადება (წერილი №04-03240645-03; 04.03.2024) „სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკრებულოს თანხმობის გაცემის თხოვნით.

2025 წლის 18 აგვისტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ, სხდომაზე განიხილა აღნიშნული განცხადება და დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 აგვისტოს გამოიცა N393 განკარგულება „სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“.

აკაკი ჩხენკელი თბილისის №49 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია, აღნიშნული სკოლისთვის მისი სახელის მინიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა. ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, იურისტი, ჟურნალისტი, დიპლომატი და სახელოვანი მამულიშვილი აკაკი ჩხენკელი მჭიდრო ურთიერთობაში იყო მაშინდელი მე-9 ვაჟთა გიმნაზიის (ამჟამად სსიპ ქალაქ თბილისის N49 საჯარო სკოლა) აღმზრდელებთან და აღსაზრდელებთან, ასევე აქტიურად მოღვაწეობდა გიმნაზიის ცხოვრებაში დაარსების დღიდან. სსიპ ქალაქ თბილისის N49 საჯარო სკოლისათვის მისი სახელის მინიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა. აკაკი ჩხენკელის ღვაწლი ფასდაუდებელია. მისმა გამორჩეულმა დიპლომატიურმა ნიჭმა და სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სსიპ ქალაქ თბილისის N49 საჯარო სკოლას ს აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის გაცემის საკითხი.

- ### სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დარეგისტრირდა სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლის განცხადება (წერილი №04-032404734-03; 16.02.2024; №04-032516112-03; 10.06.2025) „სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკრებულოს თანხმობის გაცემის თხოვნით.

2025 წლის 18 აგვისტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ, სხდომაზე განიხილა აღნიშნული განცხადება და დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 აგვისტოს გამოიცა N392 განკარგულება „სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“.

აკაკი შანიძე (1887–1987) იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენის ისტორიის, გრამატიკის, დიალექტოლოგიისა და ფონეტიკის შესწავლაში. მისი შრომები დღესაც წარმოადგენს ძირითადი წყაროების ნაწილს ენობრივი კვლევებისთვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი ქართული ენის განვითარების და დაცვის საქმეში საბჭოთა ეპოქაში, როცა ეროვნული ღირებულებები ხშირად უგულებელყოფილი იყო. მან მოახერხა, მეცნიერებით ებრძოლა ამ პროცესისთვის და დაეცვა ქართული ენა როგორც აკადემიური, ასევე კულტურული თვალსაზრისით. აკაკი შანიძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პროფესორი, წლების განმავლობაში ასწავლიდა და ზრდიდა მომავალი თაობების მეცნიერებს. მისმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ათასობით სტუდენტზე მოახდინა გავლენა და ჩამოაყალიბა ქართული ენათმეცნიერების ძლიერი ტრადიცია. სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭება: განამტკიცებს პატივისცემას ეროვნული მეცნიერებისა და განათლების მიმართ; შეახსენებს მოსწავლეებს მშობლიური ენის ღირებულებასა და დაცვის აუცილებლობას; აღნიშნავს ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული და უანგარო მოღვაწის წვლილს ქართული სახელმწიფოებრიობის კულტურულ საფუძველში. აკაკი შანიძის სახელი არ არის მხოლოდ ისტორიული მემკვიდრეობა - ის ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი თავის ქვეყანას, ენას და განათლებას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სსიპ ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლას მიენიჭოს აკაკი შანიძის სახელი.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საბჭო და კომისიები

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე აქტიურად მონაწილეობს დედაქალაქში მიმდინარე პროექტების გადაწყვეტის პროცესში და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შემდეგი კომისიებისა და საბჭოების წევრად არის წარმოდგენილი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის საუკეთესო წინადადების შესარჩევი საკონკურსო კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თეატრალური პროექტების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სფეროს პროექტების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული სფეროს პროექტების განმხილველი კომისია;
- პროგრამის - „შემოქმედებითი თბილისი“ - ფარგლებში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების განმხილველი კომისია.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების (გერბი და დროშა) ნიმუშების შესარჩევი კომისია

კორესპონდენცია და მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ შეისწავლა და რეაგირება მოახდინა დაახლოებით 807 საკითხსა თუ განცხადება-კორესპონდენციაზე.

საანგარიშო პერიოდში, კახაბერ ლაბუჩიძე მოქალაქეებთან საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებდა სხვადასხვა ონლაინ პლატფორმას, მათ შორის - სოციალურ ქსელს. მოქალაქებიის მიღება სისტემატურად ხდებოდა როგორც სამაჟორიტარო ბიუროში, ისე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის საქმიანობის ანგარიში

კახაბერ ლაბუჩიძე, როგორც საკრებულოში ისნის რაიონის მაჟორიტარი, ინტენსიურად (ოთხშაბათობით) განიხილავდა მოქალაქეთა განაცხადებს, რომლებიც შეეხებოდა: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის, ინფრასტრუქტურის, მიწის ნაკვეთის უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის საკითხებს. თითოეულზე, მაჟორიტარის მხრიდან, მყისიერად მომზადდა შესაბამის უწყებებთან შუამდგომლობა, რომლებიც დაიგზავნა საქალაქო სამსახურებთან, პროვაიდერ კომპანიებთან, კერძო სექტორთან.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური საკითხები					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
ერთჯერადი ფინანსური დახმარება	646	646	588	44	14
მედიკამენტებით უზრუნველყოფა	69	69	67		2
ოპერაცია	9	9	9		
გამოკვლევა	60	60	60		
თერაპიული მკურნალობა	9	9	6		3
სამშენებლო მასალები	7	7	6	1	
ბინის ქირა	1	1		1	
სარიტუალო მომსახურება	5	5	5		

ისნის რაიონის გამგეობა					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
სახურავის გადახურვა/შეკეთება	1	1		1	
სამშენებლო მასალით უზრუნველყოფა	4	4	3	1	
გზის საფარის მოწყობა	1	1	1		
დემონტაჟი	2	2	2		
ხის მოჭრა/გადაბელვა	3	3	3		
ნარგავები	1	1	1		
შეშა	1	1		1	
კედლის გამაგრება	1	1		1	

საქალაქო სამსახური					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური					
ქ.თბილისი მუნიციპალიტეტის მერია / ქ.თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო	13	13	10		3
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია/ მუნიციპალიტეტის ლაბორატორია	1	1	1		
ქ.თბილისი მუნიციპალიტეტის მერია / ქ.თბილისის ჯანდაცვისა და სოც. მომსახურების სამსახური	48	48	48		
ქ.თბილისი მუნიციპალიტეტის მერია / გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური					
შპს "თბილსერვის" ჯგუფი	1	1	1		

პროვაიდერი კომპანიები					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
სს "თელასი"	3	3		3	
შპს "თბილისი ენერჯი"	9	9		9	
შპს "ჯორჯიან ვოუთერ ენდ ფაუერი"	4	4		4	

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია	1	1		1	

სხვა სახელმწიფო სტრუქტურები					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო	2	2	2		
სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო (ეტლი)	1	1	1		

02.11.2024 დან 07.10.2025 ჩათვლით მიღებაზე მოსული ბენეფიციარის რაოდენობა	247